ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 3 აპრილი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

ფასი ერთი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. [illegible] განცხადება [illegible] ნომრის 15X2 სტრიქონი [illegible] 100 მანეთი. [illegible] განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის მისამართი: [illegible] ქ. 6, [illegible] 3-15-ამდე. ტელეფონი 16—63

№ 76

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 76

მწუხარე მშობლები ნოე და ანა, და ასმათი და ბებია ქრისტინე ჟორდანიები და აღმზრდელი ნინა მამულაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 3 აპრილს შაბათს ქ. ლანჩხუთში დანიშნულია წლის თავი უდროოდ დაკარგულის

ანდრეიკა ჟორდანიასი

საფლავზე იქნება გადახდილი პანაშვიდი შუადღის 12 ს. (2—2)

დედა და დამწუხრებულნი: დედა ესმე, მამა ლუკა, ძმები კაპიტონ და კლიმენტი, დები მარიამი და პასკო, რძალი [illegible] კალანდაძეები, სიძე სილოვან კობიძე, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 22 მარტს (ძვ. სტ.) ქალაქ ლანჩხუთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგული 25 წლის

შალვას

ხსოვნის აღსანიშნავად. (1116 2—2)

ცოლი და შვილები: მეუღლე სტეფანე ოტიას ძე ფარქოსაძე, მამა მათე დავითის ძე და დედა ელენე [illegible] ასული [illegible], შვილები: სილოვანი და არჩილი, რძლები: [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი

ოლა მათეს ასული ფარქოსაძ ს

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება (ბასეინის ქ. № 15) 3 აპრილს დილის 9 საათ. დაკრძალვა [illegible] სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. — (ნ. 3—3)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ელენე, შვილები: ბართლომე და სოფიო, ძმები: ლადიკო, შალვა და ივლიანე, და მარიამი, რძალი შუშანიკო, ძმის შვილები: სოფიკო და ბიძინა [illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ კვირას, 4 აპრილს დილის 2 საათზე გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილის

ნიკო ბართლომეს ძე ჩხაიძის

სულის მოსახსენებლად [illegible] ეკლესიის სასაფლაოზე.

(1152 2—1)

გამოუთქმელ მწუხარებით [illegible] შვილები: სიმონ, ილიკო, ფილიმონ და ნესტორ; რძლები: სონია, ბაბულა და კატია, შვილიშვილები: თამარა და ვანო ჯობაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ კვირას, 4 აპრილს, დილის 2 საათზე გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი უდროოთ გარდაცვლილის

ნიკო ბართლომეს ძე ჩხაიძის

სულის მოსახსენებლად [illegible] ეკლესიის სასაფლაოზე.

(1152 2—1)

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: ალექსანდრე და ივლიანე, რძლები: ანნა და მარიამ ეგბერაძეები, და ლიდია მოსეშვილისა, სიძე [illegible] მოსეშვილი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 12 აპრილს აღდგომის მეორე დღეს [illegible] ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის და საყვარელის შტაბს-კაპიტნის მე 4 ქართულ პოლკისა

ვარლამ თედორეს ძე ეგბერაძის

სულის მოსახსენებლად, რომელიც [illegible] ფრონტზე რუსეთის [illegible] მტრებთან ბრძოლაში. (ფ. 1—1)

[illegible] ბიცოლა ეკატერინე [illegible] ასული [illegible], შვილები [illegible] შვილი პატარა [illegible], ბიძაშვილი ვასილ [illegible] და [illegible] აუწყებენ ნათესავთ მეგობრებს, რომ წლის წირვა და პანაშვიდი უდროოთ დაკარგულთ

ალექსანდრა (საშიკო) ანდრიას ასულის

და მისი ქმრის

ივანე ისაიას ძე კალანდარიშვილის

სულის მოსახსენებლად დანიშნულია შაბათს 3 აპრილს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. (1155 1—1)

ალექსანდრე [illegible] დიდ მადლობას უძღვნის ყველა იმ ამხანაგებს, რომელნიც პირადი დასწრებით დასაფლავების დროს პატივი სცეს მისი საყვარელი მეუღლის

ნეოლინა ნესტორის ასულის ლუკაშევიჩის

ხსოვნას. (1170—1—1)

სამუდამოთ გაუბედურებული ცოლი მარილინა ბესარიონის ასული თავაძისა, დედა [illegible] თავაძის და ძმა ისიდორე [illegible] თავაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი ქმარი, მეორესი შვილი და უკანასკნელის ძმა

სამსონ ჩიტონის-ძე თავაძე

რომლის გამოსვენების დღე დანიშნულია კვირას აპრილის 4 ს ნაშუადღევის 3-4 საათზე თავის ბინიდან (მელიქის ქუჩა, სახლი № 9) დასაფლავება წმინდა ნინოს ეკლესიაზე. (1172—2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ბიძაშვილი სანდრო და ბიცოლა სალომე, თამარა თედორეს ასული, მარუსია სანდროს ასული და მელაქია [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, მათთვის ძვირფასის

ოლა მათეს ასული ფარქოსაძის

უდროოდ გარდაცვალებას გამოსვენება 3 აპრილს (შაბათს 10 საათ.) საკუთარ ბინიდან ბასეინის ქუჩა № 15 (1167—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მელანია მაქსიმეს ასული შვილებით: ანეტა, ოლია, ქეთო და ალიოშა (შალვა) ჯინჭარაძენი და სიძე არჩილ ივანესძე გოგუაშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ 3 აპრილს დილით 12 საათზე ივანე ნათლის ცემლის ეკლესიაში (ს. [illegible]ხობი) გადახდილი იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი

იაგორ (გიორგი) მაქსიმეს-ძე ჯინჭარაძის

სულის მოსახსენებლად. (1167—1—1)

მეორე ქართული კლუბი

(ველიამინოვის პროსპექტი, № 128) შაბათს, 3 აპრილს, კლუბში მამასახლისთა საბჭოს მიერ გაიმართება დამსახურებული ბელეტრისტ

ვასილ ბარნოვის

საიუბილეო საღამო

მისი ოცდა ათი წლის სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავად 3 განყოფილებად

1. ვ. კოტეტიშვილი. დახასიათება ვ. ბარნოვისა, როგორც მწერლისა.

2. მილოცვები და მის ნაწარმოებთა წაკითხვა. უკანასკნელი სიტყვა ვასილ ბარნოვისა.

3. სალიტერატურო სამუსიკო განყოფილება

მონაწილეობენ მომღერლები: ქ-ნი მ. [illegible], ბ.ბ. ივ. სარაჯიშვილი, [illegible], [illegible] და სხვანი. პოეტები: დუტუ მეგრელი, რუხაძე, ფაშალიშვილი, „ობოლი მუშა", პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე და სხვანი. დასაწყისი 8 ნახ. საათზე. სტუმრები შედიან კლუბში საზოგადო წესით.

(ნ. 1—1)

მოიკითხეთ საუკეთესო ხარისხის

აბრეშუმის ჭიის თესლი

შემოწმებული თბილისის საბრეშუმო სადგურის მიერ.

(ყვითელი, ფრანგული ჯიშის)

„დ. დ. დეკანოზიშვილი"-ს ფირმისა.

დუშეთის ქუჩა, № 22, ბინა მექანარიშვილისა. (1129 5—5)

შესდგა საგამომცემლო ამხანაგობა

„ხელოვნება"

რომლის მიზანია მიაწოდოს ქართველ საზოგადოებას ევროპიდან თარგმნილი უცხოელ მწერალთა სიტყვა-კაზმული თხზულებანი. გამომცემლობა უკვე შეუდგა ალ. დიუმას ცნობილ „მარგარიტა გოტიეს" ბეჭდვას, თარგმანი გ. [illegible]. წიგნი ღირს ათი თუმანი. ხელის მოწერა მიიღება ამა წლის მაისის [illegible], შემდეგი მისამართით: თბილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი" ლეონიდ [illegible].

პატივისცემით გამომცემლობა „ხელოვნება". (1177—1—1)

საორგანიზაციო კომიტეტი თბილისის სასტუმროების, მორთულ ოთახების და სხვათა [illegible] დამქირავებლის საზოგადოებისა ამით აუწყებს წევრთა ამ საზოგადოებისა, რომ

საზოგადო კრება

არის დანიშნული ბიუროს შენობაში, თეატრის ქუჩა № 4—კვირას ოთხს ამა აპრილს დილის ათ საათზე, თუ ვინიცობაა ამ დროისათვის საკმაო რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა, მაშინ მეორე და უკანასკნელი არის დანიშნული იქვე, იმავე დღეს თერთმეტ საათზე, ეს უკანასკნელი კანონიერია რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს და დადგენილება მისი სავალდებულოა ყველა წევრთათვის. განსახილველი საგნები. 1) არჩევნები გამგეობის წევრთა და მათ კანდიდატთა, 2) არჩევნები სარევიზიო კომისიისა და მათ კანდიდატთა, 3) განხილვა სხვადასხვა შინაური საქმეებისა.

(1172—1—1) საორგანიზაციო კომიტეტი.

საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო

კვირას, ამა წლის აპრილის 4 ს ქართული კლუბის დარბაზში იწვევს

ქართველ მწერალთა მეორე ყრილობას

ყრილობის წესრიგი: 1) ახალ წევრთა მიღება. 2) მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ. 3) ანგარიშები. 4) წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა. 5) მიმდინარე საკითხები. 6) საბჭოს წევრთა არჩევნები.

(1—1)

იყიდება

9 ნახ. ძალიანი მოტორი

„გორნსბი"-ს

სისტემისა. იკითხეთ კრუზენშტერნის ქ. № 4, გოგუაძესთან.

(5—1)

იყიდება

თივა 2000 ფუთი. დიდიმთავრის ქუჩ. № 26. იკითხეთ იქვე.

(1164—1—1)

ექიმი ზ. ი. [illegible]

ღებულობს შინაგან სნეულებებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა № 22, [illegible].

(ნ.—ო.)

პარტიული ოპოზიცია

საქართველოს დემოკრატია—მუშათა შეძლებით არის გამაგრებული. ევროპის მაგალითი და სოციალური ანალიზიც ამტკიცებს, რომ დემოკრატიის გამმაგრებელი ღერძი მუშათა კლასია. სხვა დემოკრატიული წრეები ვერასოდეს და ვერსად ვერ შეიქნენ დამოუკიდებელი და ძლიერი მიმდინარეობის შემქმნელნი. იქაც კი, სადაც დემოკრატია არ ეყრდნობა იდეოლოგიურათ მუშათა კლასს, ფაქტიურათ იგი მაინც ამ კლასის თანაგრძნობით და მიმდევრობით სულდგმულობს. სხვაფრივ შეუძლებელია.

ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ რუსეთშიც ბოლშევიზმს, რომელიც წვრილ ბურჟუაზიულ იდეოლოგიის და პრაქტიკის პირდაპირი მატარებელია, ძალა და სიმაგრე აქვს მუშათა კლასის მიმხრობის წყალობით. მაგრამ სამაგიეროთ იქ მუშათა კლასი რჩება იმდენ გაცრუებული, იგი არა თუ ვერ აღწევს თავის მიზანს, პირიქით შორდება მას.

ჩვენ გვგონია, რომ ეს გარემოება ჩვენში თავიდან აცილებულია. აქ მუშათა კლასი ბატონობს იდეოლოგიურათ და ფაქტიურათ, ხოლო დემოკრატიის დანარჩენი ნაწილები მას მისდევენ. ამრიგათ რუსეთში მუშათა კლასი აკეთებს წვრილ ბურჟუაზიის საქმეს და ღუპავს თავის მომავალს, ჩვენში კი იგი აკეთებს თავის მიზანს და ამით თვით დემოკრატიის სხვა წრეების მომავალსაც.

მაგრამ ეს მდგომარეობა მეტად მძიმე—განსაკუთრებულ მოვალეობას აძლევს ჩვენს მუშათა კლასს. იგი შორდება ოპოზიციის როლს, და ხდება თვითშემოქმედი. იგი თავს ანებებს სხვის კრიტიკას და თვით ხდება საგანი სხვისი კრიტიკის. იგი პრაქტიკულად იმუშავებს მომავლის გზებს და საშუალებებს თავის დიადი მიზნების მისაღწევად. იგი მათ ახორციელებს კიდეც. ამ ნიადაგზე შეუძლებელია ადგილი არ დაურჩეს შეცდომებს, წინააღმდეგობას, აზრთა სხვადასხვაობას. ეს თავის თავად ცხადია და ეს შეცდომები ხშირათ ხდება ჩვენში საგანი გარეშე და შინაური ოპოზიციის.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ოპოზიცია საჭირო არ იყოს. იგი აუცილებელია, იგი გამომაცოცხლებელია, იგი სიფხიზლის მომცემია, ენერგიის აღმძვრელია, შემოქმედების აუცილებელი პირობაა.

მაგრამ ოპოზიცია ორგვარია. პოლიტიკურ მოწინააღმდეგეების და პოლიტიკურ მეგობრების. პირველთა მიზანია ჩვენი მდგომარეობის ჩამოგდება და საკუთარი თავის გაბატონება. აქ იბრძვის სხვადასხვა მიმართულება, სხვადასხვა მსოფლმხედველობა, სხვადასხვა გზა და მიზანი შემოქმედებისა. ამიტომ თვით ბრძოლა სასტიკია და ულმობელი. მიზანი შეურიგებელი. სულ სხვაა შინაური ოპოზიცია. იგი მხოლოდ შეცდომების გასწორების მიზნით უნდა ხელმძღვანელობდეს. იგი პრინციპიალურ დებულებებში მოდავე არ უნდა იყოს. თუ პრინციპიალური დავა გახდა საგნათ ოპოზიციის, ეს ნიშნავს პოლიტიკური მიმდინარეობის გათიშვას, გაყოფას, სწორედ იმას, როგორიც იყო მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის. ეს ორი პარტია იყო ერთ პარტიაში შეკავშირებული და ისტორიამ იგი დაშალა, თვითეულმა თავის გზას დაადგა.

ჩვენში ასეთი ოპოზიცია არ არსებობს. ჩვენი მოწინააღმდეგენი უკვე გარეთ დგანან ბრძოლის ნიადაგზე. სოც.-დემოკრატია მთლიანი ორგანიზაციაა—ერთი აზრით, მიმართულებით, პრინციპებით. მათი შინაური დავა მხოლოდ ამ პრინციპების კარგათ გამოყენების გარშემო ტრიალებს.

ასეთი დავა კი მხოლოდ პარტიის სიძლიერის შემქმნელია და არა დამსუსტებელი.

ეს საგნებით გამოირკვა წარსულ კვირაში მომხდარ თათბირზე. მართალია იქვე გამოირკვა ერთი საშიში მოვლენაც. ზოგიერთი ეს მცირედი, მართალი შინაური უთანხმოება [illegible] [illegible] [illegible], და პარტიის ოპოზიციისაგან [illegible] [illegible] ნაბიჯების გადადგმას იწყებს.

ეს ნაბიჯები კი უნდა დეზორგანიზაციის შემტანი იყოს.

ცხადია, ასეთ ნაბიჯებს უნდა ვერ[illegible]ლოთ განვსაზღვრავთ ამა თუ იმ მოვლენის დადებითს ან უარყოფითს მოქმედების საფუძველით. რაც არ მოგვეწონება, იმას მაშინვე არჩევთ წინააღმდეგობით ბრძოლით, [illegible] და სხვ.

ეს ფაქტები შეიძლება გახდეს მხოლოდ საგანი კრიტიკის, გარჩევის.

მაგრამ ამ მიზნის მისაღწევათ არ ვარგა პარტიის დისციპლინის დარღვევა, დისციპლინა კარგია, მაგრამ იგი არ უნდა ეყრდნობოდეს [illegible] [illegible] ნება-სურვილზე.

ოპოზიციური აზრი, თუმცა დაიმალოს შეუძლებელია, უნდა მოისპოს [illegible] [illegible], [illegible] კრიტიკის.

ამ მიზნით მოსაზრებას პარტიულმა ყრილობამ უნდა მიიღოს წინადადება, რომ თითოეული ყველა ორგანიზაციის [illegible] [illegible] [illegible], 2—3 თვეში ერთხელ მაინც, რომ პრესაშიაც ოპოზიციურ აზრს და შეხედულებას მიეცეს ადგილი, რისთვისაც დაარსებულ იქნეს [illegible] განყოფილება პარტიის ცენტრალურ ორგანოში.

ეს შეაჩერებს ოპოზიციას ისეთ ნაბიჯებისაგან, რომელიც უკვე დაიწყო და მიუღებელი. მეორე მხრით [illegible] [illegible] [illegible] [illegible], რომელიც [illegible] ზოგიერთ პარტიულ წრეების გულში იღვივება. [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ჯანსაღი პარტიული [illegible], რომელიც დღემდე ძლევამოსილ გამოარკვევს ჩვენს პარტიას.

[illegible] [illegible] შეუძლია ჩვენი დამხობა პოლიტიკურათ და სახელმწიფოებრივათაც. [illegible] [illegible] [illegible] პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივათ.

მუშათა კონფერენცია ბათომში

29 მარტს შესდგა ყველა პროფესიონალურ კავშირთა გამგეობებისა და საქარხნო კომიტეტების კონფერენცია.

დიდი ხანია ასეთი წარმომადგენლობითი კონფერენცია არ მომხდარა, ქანდარაც სავსე იყო გარეშე საზოგადოებით, რომლის დიდ უმეტესობას ქართველი მუსულმანები შეადგენდნენ. ეს არაც გასაკვირია. კონფერენცია უნდა შეხებოდა ბათუმის საკითხს ყველაზე მეტად [illegible] [illegible] უნდა იყოს დაინტერესებული [illegible] იმ ქალაქის მცხოვრები, რომლის [illegible] [illegible] [illegible] ცხოვრობენ სხვადასხვა ჯურის [illegible] [illegible] კონფერენცია [illegible] ქართველ მუსულმანების თავისი დიდი [illegible] [illegible].

თვით კონფერენციის მუშაობა არა[illegible] [illegible] [illegible] მობილიზაცია მოეხდინა.

კრების გახსნისას თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამწუხაროდ ინგლისის [illegible] [illegible] [illegible] მოგვეხსენება—პოლიტიკური კითხვას არ შეეხოთ. ამიტომ მოუწოდა კრებას შემდეგომ სხვა კითხვების გარჩევას. კონფერენციის წრეში ჯგუფმა [illegible] ისე, რომ [illegible] 24 მარტს პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ მიიღო რეზოლუცია მომენტის შესახებ და მაშინ გადასწყვიტა, რომ ის რეზოლუცია კონფერენციისთვის წარედგინათ [illegible], ამიტომ მოეწონა, რომ კონფერენციამ [illegible] [illegible]. თუ ამის შესაძლებლობა არ არის, მაშინ სხვა [illegible] რეზოლუცია ვერ [illegible] [illegible] [illegible], ამიტომ—[illegible] უნდა დაიწყოს.

მეორე [illegible] კი [illegible], რომ [illegible] [illegible] [illegible]. ამას ეს [illegible] [illegible] საბჭოს მიერ [illegible] რეზოლუცია ძალაში [illegible].

[illegible] [illegible] [illegible]

დღეს

მთავრობის მიერ წარდგენილი კანონ-პროექტი ირლანდიის შესახებ ინგლისის ქვედა პალატაში მიღებულ იქნა 348 ხმით, 94 წინააღმდეგ.

ინგლისური ცნობით რურის ოლქში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა მოლაპარაკება მთავრობასა და აჯანყებულებს შორის.

საბჭოთა რუსეთმა განთავისუფლა 700-მდე სამოქალაქო ტყვე—ინგლისელები, ფრანგები და დანიელები, რომელნიც უკვე მივიდნენ ჰელსინგფორსში.

საბჭოს კრებაზე რეზოლუცია მიღებულ იქნა სრულიად უკამათოდ. სხდომის მოსაწვევ ბარათებში დღის წესრიგი არ იყო აღნიშნული. ნათქვამი იყო მხოლოდ, რომ მეტად საყურადღებო საკითხებია, წევრთა დასწრება სავალდებულოა და დღის წესრიგი კრებაზევე გამოცხადდება. საქმის ასეთმა წარმართვამ მეტად იჭვი დაბადა, რომ ბათუმის მუშათა მოძრაობის „ხელმძღვანელები“ ცდილობენ თავიანთ მოღალატეობის საიდუმლოების ბურუსში გახვევას. თვით ამ სტრიქონების დამწერმა მივმართე კავშირთა საბჭოს თავმჯდომარეს კრების დღის შეკითხვით, თუ რა კითხვები იყო განსახილველი, და გაურკვეველი პასუხი მივიღე, რადგანაც უმნიშვნელო საკითხებიო. ასეთივე პასუხი მივიღე საბჭოს მდივნისაგან.

ყოველივე ამის შემდეგ კი დაისვა კრებაზე მომენტის შესახები კითხვა. თუმცა ეს თითქოს პრეზიდიუმის სურვილის წინააღმდეგ მოხდა, ერთი ჯგუფის დაჟინებითი მოთხოვნით, მაგრამ შეუძლებელი იყო, რომ თავისით-ნაა ასეთი განზრახვა პრეზიდიუმის წევრებს არა სცოდნოდათ. რადგან პოლიტიკური მომენტის შესახებ კითხვა, რაშიაც უმთავრესად ბათუმის საკითხი იგულისხმებოდა, ასე მოულოდნელად დაისვა, ოპოზიციამ განაცხადა, რომ ის კამათში მონაწილეობას არ მიიღებს, რადგან საბჭომ ამ კითხვის სხვა დროისთვის გადადება არ მოისურვა.

მოსმენილ იქნა მოკლე, ბოლშევიკური ფრაზეოლოგიით აჭრელებული მოხსენება ერთ-ერთი წევრისა, რომელიც იმ დღემდე საბჭოს კრებებზე არავის უნახავს.

მოხსენებას კამათი თითქმის არ მოჰყოლია. მხოლოდ თავმჯდომარემ წინადადება შეიტანა, საბჭოს დაედასტურებინა წინდაწინ მიღებული რეზოლუციები ბათუმში საბჭოური მართველობის შესახებ.

მომხსენებელმა კი წარმოადგინა თავისი რეზოლუცია, რომელშიაც იყო გატარებული ის აზრი, რომ აჭარის მშრომელ მასას (რომლის წარმომადგენელიც არ ესწრება კრებაზე) და ბათუმის პროლეტარიატს აქვს უფლება თვითგამორკვევისა და არავის უფლება არ აქვს მათ თავს მოახვიოს ნება-სურვილები. რომ კონტრ-რევოლუციონური საქართველოს მთავრობის მტაცებლური პოლიტიკა ოლქში გამოიწვევს ნაციონალურ შუღლსა და ამ ნიადაგზე მთელი ამიერ-კავკასიის დაღუპვასა და ანარქიას; და რომ ჩვენთვის მისაღები ერთად-ერთი რუსეთის საბჭოთა მთავრობაა და სხვა და სხვა.

რეზოლუციამ მიიღო 24 ხმა 12 წინააღმდეგ. ეს რეზოლუცია და ეს [illegible] ბოლშევიკებს, მოეტანათ კონფერენციაზე და მოითხოვდნენ მის დადასტურებას.

არსად და არასოდეს ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ისეთი რთული საკითხის შესახებ, როგორიცაა ბათუმის კითხვა დღეს, რომელშიაც პასუხისმგებელ ფრაქციის უკამათოთ, საკითხის [illegible] გაუშუქებლად, მიეღოთ რაიმე რეზოლუცია.

ოპოზიციაც ამ მოსაზრებებს ეყრდნობოდა, როდესაც მოითხოვდა რეზოლუციის პროექტით დატოვებას.

ამასთან შეუძლებელია მოსულმა ელემენტმა, მეზღვართა დაუკითხავად, რომელიმე მხარის მომხრედ ხელი გადაჰკრას. ეს იქნებოდა სწორედ სხვისი ნება-სურვილების ადგილობრივ მცხოვრებთათვის მოხვევა, რის წინააღმდეგაც ბოლშევიკები თითქოს ილაშქრებენ თავის რეზოლუციაში. ეს კიდევაც აღიარა ამხ. წულაძემ თავის სიტყვაში. „შეუძლებელია, რომ ორიოლის, კურსკის მცხოვრები, თუნდაც ის მუშა იყოს, ადგილობრივ მცხოვრებთა დაუკითხავად სწყვეტდეს ბათუმისა და მისი ოლქის ბედს“ და. ამ განცხადებამ მქუხარე ტაში გამოიწვია დამსწრე ქართველ მუსულმანებისა.

კრება ხანს განგრძელდა კამათი იმის შესახებ, დაადასტურებინა თუ არა კონფერენციას საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია. არსებითად რეზოლუციის კითხვას არავინ შეეხებია. რეზოლუცია საჭიროთ არც კი ყოფილა წაკითხული. საქმის ასეთი მდგომარეობა მეტისმეტად [illegible] ქანდარას. თავმჯდომარეს ხშირად [illegible], სხდომის დახურვით გამოცხადებით და რის ვაი-ვაგლახით [illegible] დაწყნარებას. ხანგრძლივი კამათის შემდეგ 99 ხმით 49 წინააღმდეგ დადასტურებულ იქნა საბჭოს რეზოლუცია.

ქართველ მუსულმანებმა წერილობით განცხადება გადასცეს პრეზიდიუმს, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ მიღებულ რეზოლუციის გამო. მოითხოვეს აგრეთვე მიეცათ საშუალება მათი წარმომადგენლისათვის რამოდენიმე სიტყვის თქმისა.

მათი სახელით სიტყვას ამბობს ჯემალ ქაქაძე.

„აჭარელის ყოველის,—სთქვა ორატორმა—მე გამოვსთქვამ ღრმა აღშფოთებას ამ მიღებულ კრებისადმი, რომელსაც ვითომდა მეტი კარგი სურს აჭარისათვის და ამავე დროს შეძლებას არ აძლევს აჭარის მკვიდრს ორიოდე სიტყვა სთქვას იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს აჭარა. მე ვიცი პარლამენტარული წესები და ჩემი სიტყვით არ შევაწუხებდი კრებას, რომ ის რეზოლუცია, რომელიც კრებას ბოლშევიკებმა წარმოუდგინეს, ჩემი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს არ ეხებოდეს.

„გასაოცარია, რომ ის ხალხი, რომელსაც არავითარი აქვს საერთო ჩვენს მცხოვრებთან, რომელიც არ არის მასთან შეკავშირებული არც ეკონომიურად, არც ისტორიულად და შედგენს მხოლოდ სტუმრად ჩვენში მოსულ ელემენტებს, სხვადასხვა ქვეყნიდან აქ ბედის საძებრად მოსულებს, წყვეტს აქ ბედიღბალს ქალაქის და ოლქის, სწყვეტს ისე, რომ არც კი ეკითხება ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც 95 პროცენტს შეადგენენ მთელი მცხოვრებლებისას, სწყვეტს ისე, რომ ეს დიდი უმეტესობა მცხოვრებლებისა არავითარ მონაწილეობას არ იღებს საკითხის გადაჭრაში.“

„აჭარის მშრომელთა მასსამ უკვე გამოსთქვა თავისი შეურყეველი ნება ყოფნა გასული წლის 31 აგვისტოს, როცა მან თავისი წარმომადგენლების სახით თვითონ და ქვეყნის წინაშე განაცხადა, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი, როგორც განუყრელი ნაწილი დედა-სამშობლო საქართველოსა, ავტონომიურად უნდა შეუერთდეს საქართველოს. ეს არის კატეგორიული გადაწყვეტილება სამუსლიმანო საქართველოსი და ამ თავის გადაწყვეტილებას აჭარის მშრომელი მასსა არასოდეს არ უღალატებს. აჭარის მშრომელთა მასსა თქვენ, ბ. ბ. ბოლშევიკებს არ გიმორჩილებთ. ეს ცხადია და ნათელია და ამას ამტკიცებს სხვათა შორის ისიც, რომ თქვენთან არც ერთი აჭარელი არ არის. (ხმა: არის.) ეს არ არის მართალი. მე ვამტკიცებ, რომ თქვენ შორის არ არის არც ერთი ქართველი მუსლიმანი და თუ არის ვინმე მუსლიმანი, ის არის ოსმალეთიდან გამოქცეული ავანტიურისტი თურქი, პანისლამისტი, რომლებსაც თქვენ, ბ. ბ. ბოლშევიკები, ბრმად გიქცევთ შეკრული. თქვენ ხომ ოსმალეთის პანისლამისტებთან ერთად ჩვენი ქვეყნის დაღუპვას სცდილობთ.

„აჭარის მშრომელთა მასსამ კი, ვიმეორებ, უკვე სთქვა თავისი კატეგორიული სიტყვა: ავტონომიურად გაერთიანება დედა სამშობლო საქართველოსთან.

„გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს ამ რესპუბლიკის ფარგლებში ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოს!“ დაასრულა ორატორმა. (მქუხარე ტაში).

ამ განცხადების შემდეგ ქართველ მუსლიმანებმა დემონსტრატიულად დასტოვეს დარბაზი.

კონფერენცია გადადის დღის წესრიგის გარჩევაზე.

სასურსათო კომიტეტის მუშა-მოსამსახურეთა შესახებ ირკვევა შემდეგი:

ინგლისის ადგილობრივ სარდლობას განუზრახავს სასურსათო თვითმართველობის ლიკვიდაცია და საქმის სამოქალაქო საქართველოსათვის გადაცემა. ამას გამოუწვევია მოსამსახურეთა შტატების შემცირება. პურის განყოფილება სავსებით უქმდება და მთელი საქმის გაძღოლა ევალებათ მეპურეებს. არჩება მცირე რიცხვი ძველი მოსამსახურეებისა, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში გადირიცხებიან და კარგავენ უფლებებს პროფ. კავშირების წევრობისას, გაფიცვისას და სხ. მაშინ პროტესტის ნიშნათ მოსამსახურეებს გადაუწყვეტიათ, არც ერთი არ დარჩეს ადგილზე, თუ მათ არ ექნებათ ის უფლებები, რომლებითაც ისინი დღემდე სარგებლობდნენ, და ადგილები ბოიკოტს ქვეშ გამოაცხადონ.

კონფერენციამ იქონია ამაზე ხანგრძლივი მსჯელობა. ერთნი, უფრო ბრძოლის ხასიათზე დამდგარნი, მოითხოვდნენ „სისწრაფეს და იერიშით“ მისვლას და, თუ საჭიროც დარჩებოდა, საერთო გაფიცვით სასურსათო კომიტეტის მოსამსახურეთათვის მხარის დაჭერას. მეორენი, ითვალისწინებდნენ რა შექმნილ პირობებს ქალაქში, მოუწოდებდნენ სიფრთხილისაკენ და ფრთხილი ნაბიჯების გადადგმისაკენ, რომ შემდეგ უკან დახევა და დამარცხება არ ეგემნათ. ბოლოს გადაწყვეტილ იქნა არჩეული ყოფილიყო კომისია, რომელიც სამხედრო გუბერნატორს გააცნობს ბათუმის მუშათა შორის არსებულ მღელვარებას იმის გამო, რომ ცდილობენ რევოლუციის მონაპოვართა წართმევას და მოითხოვს, როგორც პროფ. კავშირებში ყოფნის უფლების დატოვება სასურსათო კომიტეტის მოსამსახურეთათვის, აგრეთვე სიტყვის, კრების და სხვა თავისუფლებას.

მუშათა გაზეთისა და კლუბის შესახებ კითხვებიც უნდა მათთან ერთად გადაწყვეტილიყო. სხვა წვრილმანი კითხვები სიგვიანის გამო შემდეგისათვის გადაიდო.

როგორც გავიგეთ, გუბერნატორთან კომისიის მოლაპარაკება სასურველად დასრულებულა, რამაც ცოტათი დამშვიდება შეიტანა მუშებში.

დასასრულ აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. „Нашъ Край“ გაკვრით ეხება მუშათა კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციას და ამბობს, რომ კონფერენციამ დაადასტურა რეზოლუცია პროტესტი საქართველოს მთავრობის ცდის წინააღმდეგ ძალით ჩაიგდოს ხელში ბათუმის ოლქი და სხვა. ნამდვილ აზრს რეზოლუციისას კი უმალავს თავის მკითხველებს.

ქანი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

2 აპრილი

ინგლისური ცნობები

ირლანდიის საკითხი

ქვედა პალატაში ჰომრულის შესახებ ბილლის მეორე კითხვა მიღებულ იქნა 348 ხმით 94 წინააღმდეგ. კამათის დასასრულს ლოიდ ჯორჯმა სთქვა: მთავრობას ყოველგვარი საფუძველი აქვს, რომ იგი კმაყოფილი იყოს კამათის მიმდინარეობით.

ამ კამათმა დაამტკიცა, რომ მთავრობას ჰქონდა ერთად ერთი მისაღები გეგმა. ამოცანის სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ისეთი წინადადებები შემოგვეტანა, რომლებიც ერთნაირად მისაღები იქნებოდა ირლანდიის ყველა პარტიისათვის. ასკვიტის გეგმა ამათგანმა არ მიიღო და მაშასადამე, ისინი ამას უარყოფდნენ. ამ ბილის ძალით ირლანდიის მთავრობას შეუძლია ხელი მიჰყოს სასოფლო მეურნეობას, ვაჭრობა-მრეწველობას, რკინის გზის ტრანსპორტს, სახალხო ჯანმრთელობას, მოხუცთა პენსიით უზრუნველყოფას და განათლებისა და აღზრდის საქმეს. პრემიერმა სთქვა, რომ იგი ამ საკითხში ოპტიმისტია და სწამს, რომ კავშირი თავის დროზე ნამდვილი [illegible] იქნება განმტკიცებული.

ტრამვაის მოსამსახურეთა ჯამაგირი.

ტრამვაის მუშებისა და მოსამსახურეების ჯამაგირის საკითხი მოწესრიგებულია. 18 წელზე უფროს მოსამსახურეთ კვირაში ემატებათ 5 შილინგი, 18 წლიანზე ნაკლებთ კვირაში 1 შილინგი.

რურის ოლქში.

გერმანიის მთავრობამ რურის ზონაში მყოფ წითელთა ულტიმატუმის ვადა კიდევ 48 საათით განაგრძელა, რათა წითლებს შეძლება მისცენ თვითონ აღადგინონ წესრიგი. ამ ვადის გათავებამდის ჯარები შეტევაზე არ გადავლენ.

ფრანგული ცნობები.

დანიაში

დანიის მეფემ დაითხოვა მინისტრი ზალე, რადგანაც მეფის თქმით მისი პოლიტიკა შლეზვიგის მიმართ არ ეთანხმებოდა ქვეყნის ინტერესებს და არჩევნების რეფორმა, რომლის პროექტი მას ქონდა, მეფისათვის არ იყო მისაღები. მეფემ მიმართა ლიბეს. სოციალისტურმა პარტიამ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა.

სამოქალაქო ტყვეების განთავისუფლება.

ჰელსინგფორსიდან იუწყებიან: 700 ინგლისელი, ფრანგი და დანიელი, რომელნიც ბოლშევიკებმა გამოუშვეს, ფინეთში მივიდნენ.

ბოლშევიკური ცნობები.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. დასავლეთის ფრონტი. ბობრუისკის რაიონში მტრის შემოტევა კონტრ-იერიშებით მოვიგერიეთ. ოვრუჩ-კოროსტენ-სარნენის რკინის გზის დასავლეთით და ჩრდილოეთით ბრძოლაა. სივაშის რაიონში ჩვენ გამოქცეულები მივიღეთ.

კავკასიის ფრონტი. ჩვენი ჯარი ტუაპსეზე შეტევას განაგრძობს. ტუაპსეს ჩრდილო დასავლეთით 40 ვერსზე ჯუბგასთან ჩვენმა ჯარმა ცეცხლით შეაჩერა მტრის გემების ნავთსადგურიდან გასვლა. მაიკოპის სამხრეთ დასავლეთით 35 ვერსზე ჩვენმა ჯარმა მტერი უკუ აგდო და განაგრძობს მის დევნას. კასპიის ზღვის ნაპირებზე აჯანყებულებმა ქ. დერბენტი აიღეს. თურქესტანის ფრონტი. სემირეჩინსკის რაიონში კოპალ-ტენინსკის მიმართულებით ჩვენ დაგვნებდა ქალ. კოპალის გარნიზონი სამხრეთ რაზმის მეთაური პოლკოვნიკ ბოიკოს მეთაურობით. ჩვენმა ჯარმა [illegible] აიღო. აღმოსავლეთის ფრონტი. არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

კომუნისტების პარტიულ ყრილობაზე.

პარტიულ ყრილობაზე სამეურნეო აღმაშენებლობის შესახებ ტროცკიმ სთქვა: პირველად ყოვლისა უნდა ხელი შეუწყოთ ტრანსპორტის საქმეს. ეს მეტად აუცილებელი პირობაა, უამისოთ გაჰქრება მუშათა დიქტატურის საფუძველი და მომავალი სამეურნეო განვითარება, და მაშინ მუშათა კლასი გაითქვიფება საგლეხო საოჯახო-სამეურნეო სტიქიაში. ნედლი და სათბობი მასალა და სურსათი ეს მეორე სტადიაა. ჩვენი მეურნეობის განვითარების შემდეგ ეტაპი—ეს მანქანების აღმაშენებლობის განვითარება და ამ მხრივ, სრულიად ნათელია, რომ პირველ რიგში ჩვენ უნდა ჩამოვასხათ ისეთი მანქანები, რომლებიც ტრანსპორტისათვის და სურსათის შესაძენათ აუცილებელია. აუცილებელია, რომ პირველ რიგში გაკეთებულ იქნას ორთქმავლები. ამის გაკეთება შესაძლებელია. უფრო ადვილია ახალი ნაწილის გაკეთება, ვიდრე ძველის [illegible]. შეეხო რა ოლქების გაერთიანების (?) საკითხს, ტროცკიმ სთქვა, რომ ოლქების გაერთიანების სურათი მას წარმოუდგენია, როგორც ცენტრალური უწყების წარმომადგენელთაგან შემდგარი გაცხარებულ კამათის შემდეგ ყრილობამ დაადგინა მიიღოს რეზოლუციის საფუძვლად პარტიის ცენტრ. კომიტ. რეზოლუცია, რომლის შესწორება უნდა [illegible] ბოლოებზე კოოპერაციის შემოკლების შესახებ საქმის მიზანშეწონილობის მოსაზრებით მიღებულ იქნა 314 ხმით 123 წინააღმდეგ. პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ მომხსენებელმა ბუხარინმა განაცხადა: პროფესიონალური კავშირები და მისი მიზნები წარმოადგენენ ერთ მთავარ საკითხთაგანს. ეს იმიტომ რომ რიგში დადგა კოლოსალური გიგანტური შრომის მიზნები—ადმინისტრატიულ და წარმოების აპარატის დაბალ დაწესებულებებში ერთპიროვნულ მართველობის სისტემისაკენ გადასვლა, ყველა ამ ახალ გზას არ შეუძლია ცოტა მერყეობა არ გამოიწვიოს იმ ამხანაგთა შორის, რომლებიც პროფ. კავშირებში მუშაობენ. იმ დროს, როდესაც კაპიტალისტურ წესწყობილების დროს პროფ. კავშირები წარმოადგენენ მუშათა კლასის ბრძოლის ორგანიზაციას კაპიტალისტური სისტემის საწინააღმდეგოდ, პროლეტარული დიქტატურის ხანაში პროფ. კავშირები აუცილებლად გაბატონებული კლასის აპარატად უნდა შეიქნენ. მუშათა კლასი იყო კლასი დამონებული და იბრძოდა კაპიტალისტური წესწყობილების წინააღმდეგ. პროფესიონალური კავშირების ფუნქციები შესდგებოდა მაშინ, რომ აღეზარდა მუშათა კლასი ბრძოლისათვის. პროლეტარული დიქტატურის ეპოქაში ეს ფუნქცია იქცევა მუშათა კლასის ორგანიზაციულ სამეურნეო საქმისათვის აღზრდის ფუნქციათ. პროფესიონალური კავშირების, როგორც მუშათა ორგანიზაციის, საბჭოთა სახელმწიფოსთან დაპირისპირება, როგორც არა მუშათა ორგანიზაციის მიმართ, არ არის მართალი თეორეტიულად, და პრაქტიკულად კი მიჰყავს პოლიტიკურ სინდიკალისტურ შეცდომებისაკენ. პროფესიონალური კავშირები უნდა ეხმარებოდნენ საბჭოთა სახელმწიფო აპარატს და არა პირიქით. საბჭოთა სახელმწიფო არის ყველაზე დიდი ეკონომიური ორგანიზაცია, რომელიც მთელი მუშათა კლასის ძალას იკრებს, მას ექვემდებარება სხვა ორგანიზაციები და პირველ რიგში პროფესიონალური კავშირები. არ არის საჭირო, რომ პროფ. კავშირები დაუყოვნებლივ გასახელმწიფოვდეს, მაგრამ პროფესიონალური კავშირების განვითარება ამ განსახელმწიფოების გზისკენ უნდა მიდიოდეს. ეს პროცესი უფრო ჩქარა წავა მაშინ, რადგან პროფ. კავშირები შედიან საბჭოთა სისტემაში, მიზანშეწონილი იქნება, რომ პროფ. კავშირები არსებობდნენ როგორც აპარატი, რომელნიც თავისი ნაწილებით შედიან საბჭოთა სახელმწიფო აპარატში, ე. ი. თავის წარმომადგენლებს გზავნიან ყოველგვარი საკითხის განსახილველათ, ნიშნავენ თავის კანდიდატებს ყველა სამეურნეო ორგანოში. იმავე დროს პროფ. კავშირები რჩებიან დამოუკიდებლათ და წარმოების ვითარებაში პირდაპირ არ ერევიან. ჩვენი პარტია თავის გავლენას პროფ. კავშ. ფრაქციებით, ფორმით ადგენს და ყველა პროფ. კავშირში, ყველა ადგილობრივ ორგანიზაციაში, ყველა უჯრედში უნდა იყოს ჩვენი კომუნისტური ფრაქცია, რომელიც გამტარებელია საერთო პარტიული დირექტივებისა პროფესიონალური ორგანიზაციის მთელ ხაზზე. ადგილობრივი პროფ. კავშირების ფრაქცია ემორჩილება პარტიულ კომიტეტებს, სამ. ცენ. სამეურნეო პრ. კავშირები ემორჩილებიან პარტიის ც. კომიტეტს. მაგრამ ისეთ საკითხებს როგორიც მაგალითად სახელფასო და სხვა სპეციალური საკითხები, პროფ. კავშირების ცენტრალური ორგანო სწყვეტს.

პროფ. კავშირები სამეურნეო აღმაშენებლობის სფეროში წარმოადგენენ კომპეტენტურ ორგანიზაციას. ისინი ყოველ სამეურნეო ადმინისტრატიულ ორგანოებში უნდა შედიოდნენ დაწყებული უმდაბლესით და გათავებული უმაღლეს ორგანოებით, როგორც ერთპიროვნულ, ისე კოლეგიალურ სისტემის დროს, რადგან ერთპიროვნულ სისტემის დროს კანდიდატის დანიშვნა ხდება პროფ. კავშირთან შეთანხმებით. ამ გვარად პროფ. კავშირების მთავარი მიზანია ბრძოლა მეურნეობის აღდგენისათვის, შრომის მილიტარიზაციის საფუძველზე და საერთო შრომის ბეგარის გატარებით.

ახალი ამბები

◆ **პროფესიონალურ კავშირთა სახლში.** კვირას, 4 აპრილს დილის 10 ს. მუშათა კლუბის ბინაზე შესდგება გაერთიანებული კრება პროფ. კავშირთა საბჭოსი, ყველა პროფ. კავშირების და საქარხნო კომიტეტებისა. დღის წესრიგი. მოხსენება რესპუბლიკის ფინანსიურ და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

◆ **„ჯარის ფონდისათვის“** მთავარ კომიტეტს „ერთობის“ კანტორამ 31 მარტს ჩააბარა 188 ათასი მანეთი. ფულის მიღება „ჯარის ფონდის“ სასარგებლოთ კანტორაში გრძელდება.

◆ **მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან** არსებულ საშუალებათა შორის თესლის შემძენ განმანაწილებელმა კომისიამ ბათუმში შეიძინა, 20.000 ფუთი სათესლე ქერი. ქერი უკვე განაწილებულია დაზარალებულ მაზრებისათვის და ახალქალაქის, ახალციხისა და ართვინის ოლქისათვის. ერობებს წინადადება ეძლევათ პირველსავე მიღებულ სათესლეს [illegible] გადაიტანონ, რომ კომისიას საშუალება მიეცეს ზედმეტი სათესლე მიაწოდოს ერობას.

◆ **გადასახადების განყოფილებას** მიწათ-მოქმედების სამინისტროს ესაჭიროება გამოცდილი საქმის მწარმოებელი. მსურველნი უნდა მიმართონ განყოფილების გამგეს.

◆ **ყაჩაღობა.** შინაგან საქმეთა სამ. ინსპექტორმა შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო ეკატერინენფელდის მაზრის კომისრისაგან: „26 მარტს დილის 11 საათზე სოფ. პატარა კუმისს“ დაესხნენ ნეიტრალურ ზონის სომხები, ყაჩაღ ვასო მარკაროვის მეთაურობით, გარეკეს საქონელი. ყაჩაღების დევნა გრძელდება ადგილობრივი გვარდიისა და მილიციის მიერ. ნეიტრალურ ზონაში გადასასვლელი გზები გაკავებულია.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, მუშებისათვის „[illegible]“. კვირას დილით „ევგენი ონეგინი“, საღამოთი [illegible] „სნეგუროჩკა“.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახლში 6 არს. ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ქალაქში“. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღ. 7 ნახ. საათზე.

◆ **„ბავშვის სახლი“-ს გახსნა.** 18 აპრილს შესდგება დედათა და ბავშვთა დამხმარე საზოგადოების „ბავშვის სახლის“ ოფიციალური გახსნა. „ბავშვთა სახლი“-ს გახსნაზე გამგეობა იწვევს მთავრობის, დამფუძნებელი კრების და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, პედაგოგებს და სხვა.

◆ **სომხების მდგომარეობა ზაქათალაში.** თბილისში არსებულ სომხთა ნაციონალურ საბჭოს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „ქალაქ ზაქათალის სომხები უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან. არავითარი საშუალება არა აქვთ, რომ აქედან გავიდნენ. ხდება ძალდატანება და ხოცვა-ჟლეტა. გვაცნობეთ ვის უნდა მივმართოთ დახმარებისათვის“.

◆ **ბორჯომის რაიონის სახალხო გვარდიის ყრილობა** უღრმეს პროტესტს აცხადებს ბათუმისა და მისი ოლქის საქართველოდან ძალით ჩამოშორების და პორტო-ფრანკოდ გამოცხადების გამო. ბათუმი და მისი ოლქი ისტორიულად, ეთნოგრაფიულად, ტერიტორიალურად, ეკონომიურად საქართველოს ერთი ნაწილთაგანია და მისი უდავო ნაწილი. ბათუმი საქართველოს დემოკრატიის კულტურის გზა და ხიდია ევროპის დემოკრატიასთან, ურომლისოდაც ჩვენი განვითარება შეუძლებელია. საქართველოს დემოკრატიის საპროტესტო ხმას ჩვენი ხმასაც ვუერთებთ და მოვითხოვთ დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები დამფუძნებელ კრების და რესპუბლიკის მთავრობისაგან. ყრილობის თავმჯდომარე გაბუნია.

◆ **ბორჯომის რაიონის სახალხო გვარდიის ყრილობა** სალამს უძღვნის მუშათა რაზმების შეკავშირებულ ძალის ორგანიზაციას—მუშათა პროფესიონალურ კავშირის ცენტრს და უსურვებს თავდადებულ მუშაობას მიღწეულ უფლებათა განმტკიცებაში, რომლის მუშაობაში ჩვენ მზად ვართ ყოველგვარი დახმარება [illegible]. ყრილობის თავმჯდომარე გაბუნია, მდივანი ხუციშვილი.

◆ **ბორჯომის რაიონის სახ. გვარდიის** ყრილობა გულწრფელ სალამს უძღვნის რესპუბლიკის მთავრობას და მის მეთაურს, მუშათა კლასის ბელადს ნოე ჟორდანიას. აღუთქვამს მას ყოველგვარ დახმარებას არსებულ წყობილების განმტკიცების საქმეში.

ყრილობის თავმჯდომარე გაბუნია. მდივანი ხუციშვილი.

◆ **ბორჯომის რაიონის სახალხო** გვარდიის ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს დემოკრატიულ უზენაეს ნებათა გამომხატველს დამფუძნებელ კრებას, აღუთქვამს მას ყოველგვარ დახმარებას დემოკრატიის მისწრაფებათა განმტკიცების საქმეში. ყრილობის თავმჯდომარე გაბუნია, მდივანი ხუციშვილი.

◆ **ხვალოთ დილის** ვერის მუშათა კლუბში ს. ს. დ. მ. პ. თვ. ორგ. სახელმწიფო უნივერ. წრე მართავს თავის სახსრის გასაუმჯობესებლად დილა-საღამოს. საღამოზე მიმდინარე მომენტზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. ა. ჩხენკელი, რის შემდეგ იქნება კაპელის კონცერტი და დეკლამაცია. ბილეთები იყიდება დღეს თეატრის კასაში საღ. 5. სათიდან. დასაწყისი საღ. 7 ს.

კრებები.

დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია ს.-დ. ქალთა კომიტეტის სხდომა. წევრთა დასწრება სავალდებულოა.

უცხოეთი

რუსეთი.

ეკატერინოდარში. უმაღლესმა „კრუგმა“ კატეგორიული გადაწყვეტილება მიიღო დენიკინიდან ყოველგვარ დამოკიდებულობის შეწყვეტის შესახებ. ამის შემდეგ დენიკინმა თავისი ჯარით ნოვოროსიისკისაკენ დაიხია; მას გაჰყვნენ დონელებიც. ამავე დროს დაიწყო ბოლშევიკური ამბოხებები ეკატერინოდარში და მის რაიონებში. აჯანყებულებმა ეკატერინოდარი 17 მარტს დაიჭირეს. ბოლშევიკების რეგულიარული ნაწილები მაშინ იქ არ ყოფილან. ბრძოლა ეკატერინოდარისათვის ისევ გრძელდებოდა. 19 მარტს იგი „მოხალისეებმა“ დაიკავეს; 20 მარტს „მოხალისეთა“ რაზმმა კვლავ დასტოვა ეკატერინოდარი და ყუბანისაკენ დაიხია.

ინგლისი.

ასკვიტი ოსმალეთის შესახებ. თემთა პალატაში ასკვიტმა ოსმალეთის საკითხის შესახებ, სხვათა შორის, შემდეგი განაცხადა: მომავალში ოტომანის მთავრობის ევროპაში დატოვება სახიფათო ანაქრონიზმი იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ასკვიტი ფიქრობს, რომ უმჯობესი იქნება თუ სულთანი კონსტანტინოპოლში დარჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში ასკვიტის აზრით მისი თავისუფალი მოქმედება აზიაში კიდევ უფრო სახიფათო იქნება. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ კონსტანტინოპოლის ოკუპაცია ინგლისის სამხედრო ძალის მიერ [illegible] მოყვა. მოკავშირე სახელმწიფოებმა ვერ მოახერხეს საზავო პირობები წარედგინათ ოსმალეთისათვის, სანამ ვილსონს ვერ უშოვია ხელსაყრელი პირობები საზავო ხელშეკრულების წარსადგენათ ამერიკის სენატში. შემდეგ ასკვიტი [illegible] ინგლისის ოკუპაციის საჭიროებას მესოპოტამიაში და ამბობს: ბაღდადისა და მოსულის ევაკუაცია ანარქიის ცეცხლში გახვევდა ქვეყანას. ინგლისის მიზანი მესოპოტამიაში ის კი არ შედგება, რომ მართოს ეს მხარე, როგორც იმპერიის ნაწილი, არამედ ის, რათა დაიცვას იგი ანარქიისაგან. მესოპოტამიის მანდატორი თვით ხალხი—არაბები უნდა იქნეს.

პოლონეთი.

პოლონეთის საზავო პირობები. 28 თებერვალს პოლონეთის სეიმმა განიხილა პროექტი ნოტისა, რომელიც საბჭოთა მთავრობას უნდა გაეგზავნოს. ნოტა შემდეგი მუხლებისაგან შედგება: 1) პოლონეთი წინადადებას აძლევს საბჭოთა მთავრობას უარი სთქვას იმ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის 1672 წლის საზღვრის დასავლეთით მდებარეობდა; ამ ტერიტორიის მცხოვრებთ უფლება უნდა მიეცეს თავისუფლათ გამოსთქვან სიტყვა თავიანთ ბედის შესახებ; 2) რუსეთი სცნობს ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას და ხელს არ შეუშლის მათ ხელშეკრულებები დასდონ პოლონეთთან; 3) პოლონეთი მოითხოვს რათა უკრაინაში იქნეს შექმნილი ძლიერი ნაციონალური სახელმწიფო, რომელსაც ანტანტა იცნობს; 4) პოლონეთი გარანტიას ითხოვს საბჭოთა რუსეთიდან იმის შესახებ, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე არ იქნება წარმოებული ბოლშევიკური პროპაგანდა; 5) პოლონეთი მოითხოვს საბჭოთა რუსეთისაგან ანაზღაურების იმ ზარალისა, რომელიც საბჭო-

თა ჯარებმა მიაყენა პოლონეთის მცხოვრებთ.

აზერბეიჯანი.

საგვარეულო ქონების შესახებ. მინისტრთა საბჭომ მოიწონა და პარლამენტის განსახილველად გადასცა კანონპროექტი, რომლის თანახმადაც გაუქმებული იქნება უფლება საგვარეულო ქონების გამოყოფის შესახებ.

ნავთის მწარმოებელთა დადგენილება. ბაქოს ნავთის მრეწველთა ყრილობამ აცნობა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს შემდეგი დადგენილება: გადიდდეს ჯამაგირი 1 მარტიდან მუშა-მოსამსახურეებს 80 პროცენტით იმ პირობით კი, რომ მთავრობა გადიდებს სამრეწველო ფირმებს სესხს 100 პროცენტით, რაც საჭირო იქნება ახალი მომატებისა და სხვა ხარჯების დასაფარავათ.

საქონლის გაცვლა-გამოცვლისთვის. როგორც ასტრახანიდან იტყობინებიან, მოსკოვიდან ბაქოსაკენ გამგზავრებულან რუსეთის კოოპერატივთა კავშირის წარმომადგენლები. კოოპერატორებს დავალებული აქვთ მოაგვარონ ბაქოდან რუსეთში ნავთის გატანის საქმე; პირველ ხანებში გატანილ უნდა იქნეს არა ნაკლებ 50 მილ. ფუთისა. ნავთის გატანა უნდა მოხდეს საქონლის გაცვლა გამოცვლის ნიადაგზე; ნაწილობრივათ ანგარიშის გასწორება მოხდება აგრეთვე „ნიკოლოზის" ფულებით. გასაცვლელ საგნებათ კოოპერატივებს აქვთ მანუფაქტურა, ლურსმანი, შუში და სახურავი რკინა. ყველა ეს საქონელი ბაქოში იქნება გადმოტანილი. კოოპერატივების წარმომადგენლებს ბაქოში აპრილში მოელიან.

გერმანია.

ვაჭრობა ინგლისთან 1919 წ. გერმანიიდან გაუტანია ინგლისს საქონელი 1 მილ. გირ. სტერ. ღირებული. ამავე ხნის განმავლობაში გერმანიაში შემოტანილი ინგლისური საქონელი 14,750 000 გირ. სტერლინგათ ღირებული.

ბელგია.

საერთაშორისო ბანკები. გაზ. „პტი ჟურნალ"-ის ბრიუსელელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ბელგიის მთავრობის თავმჯდომარეს დელაკრუას განზრახვა აქვს წარუდგინოს მოკავშირე სახელმწიფოებს პროექტი საერთაშორისო ბანკნოტების გამოცემის შესახებ; ბანკნოტებს ყველგან ერთნაირი ფასი ექნება. ამ მიზნით დელაკრუას განზრახვა აქვს დაავალოს ხალხთა ლიგის საფინანსო სექციას დაარსოს საერთაშორისო საბიუჯეტო ინსტიტუტი, რომელიც გამოსცემს ოქროს ანბით უზრუნველყოფილ ფასიან ბონებს. ეს ბონები არ იქნება დაბანდებული საერთო ფულის ტრიალში; იგი გამოყენებული იქნება სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის ხარჯების გასწორების დროს, სანამ საერთაშორისო კრიზისი გაივლის. მრეწველები და ექსპორტერები თავიანთ საქონელში მიიღებენ ბონებს, რაც შემდეგ მათ ყოველთვის შეუძლიათ ფულზე გადაახურდაონ ადგილობრივ ბანკებში. კერძო ბანკები კი ბონებს საერთაშორისო საემისიო ბანკში გადაახურდავებენ. მაშასადამე, ეს ბანკი აასრულებს საერთაშორისო „საანგარიშო პალატის" როლს. ამრიგად შეიძლება თავიდან აცილებული იქნეს საერთაშორისო კრიზისი.

ბულგარეთი

რუსი ლტოლვილები. ბულგარეთში მიმავალ რუს ლტოლვილთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა საცხოვრებელთა კრიზისის გამო შემოუშვას მხოლოდ 8000 ჯანმრთელი ლტოლვილი და 3000 დაჭრილი.

პარლამენტის დათხოვა. როგორც გაზ. „ბოსფორი" იტყობინება (23 თებ.) მეფე ბორისს დაუთხოვია პარლამენტი. პარლამენტის დათხოვა იმან გამოიწვია, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა. პარლამენტის არჩევნები ახლო მომავალში მოხდება. სტამბულინსკის იმედი აქვს, რომ იგი გაიმარჯვებს, თუ მას აგრარულ პარტიამ დაუჭირა მხარი. რკინის გზელების გაფიცვა დასრულდა გაფიცულთა დამარცხებით. რკინის გზაზე მიმოსვლა ჯერ კიდევ არ განახლებულა, ვინაიდან ბევრი ორთქლმავალი დაზიანებულია.

პროფესიონალურ კავშირებში

კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატში

1 აპრილს შესდგა რიგ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის სხდომა. კრებას დაესწრო შრომის მინისტრის ამხანაგი ამ. ბახტაძე. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: განსვენებული ამხ. სანდრო მაისურაძის სახელობის სამკითხველოს წესდების დამტკიცება, მოხსენება მუშათა კლუბის შესახებ, მუშების ხელფასის გადიდების შესახებ და მიმდინარე საკითხები.

სანდრო მაისურაძის სახელობის სამკითხველოს წესდება მიღებულ იქნა შემდეგი შესწორებით: სამკითხველოს მუდმივი მზრუნველი იქნება ელენე მაისურაძისა. სამკითხველოს ლიკვიდაციის მოხდენის შემდეგ მთელი ქონება პროფ. კავშ. საბჭოს სამკითხველოსი გადადის რომელიმე მსგავს სამკითხველოს განკარგულებაში, ამასთანავე ელენე მაისურაძისას უფლება ეძლევა პროფ. კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით შესცვალოს წესდების რომელიმე მუხლი. ამის შემდეგ არჩეულ იქნა შვიდკაციისაგან შემდგარი გამგეობა.

მუშათა კლუბის შესახებ მოხსენებას აკეთებს შ. რამიშვილი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქმის ორგანიზაციის მოგვარებას ბევრს უშლიდა კლუბში მომუშავეთა სხვადასხვა საქმეებში ჩაბმა და ფინანსიური კრიზისი, ბოლო დროს მაინც გამგეობამ გამოიჩინა უნარი და ყოველ კვირაში კლუბის წევრებისათვის იმართება უფასო საღამო-წარმოდგენები, რაც თანდათან იზიდავს მშრომელ მასას. მომხსენებელი იმედს გამოსთქვამს, რომ შემდეგში ეს ფართო ხასიათს მიიღებს და ამით მუშებს მიეცემათ სულიერი საზრდო და ხარჯებიც თანდათან დაფარული იქნება. მუშათა კლუბთან გამგეობას დაუარსებია იაფ ფასიანი სასადილო, სადაც 18 მანეთად იძლევა საკმაოდ კარგი სადილი. გამგეობამ ყურადღება მიაქცია აგრეთვე მუშათა კლუბის საზაფხულო ბინას და ეხლა შეკეთებას აწყობს, როგორც შენობას ისე ბაღს.

კამათის შემდეგ დადგენილ იქნა: მუშათა კლუბის გამგეობა პირდაპირ უნდა ექვემდებარებოდეს და ეწეოდეს ანგარიშს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს. მუშაობაში კი უნდა შეუთანხმდეს სახალხო უნივერსიტეტს. არჩეულ იქნა 3 კაცისაგან შემდგარი კომისია: სეკრეტარიატიდან, მეორე მუშათა კლუბის გამგეობიდან და მესამე სახალხო უნივერსიტეტიდან.

მუშათა ხელფასის გადიდების შესახებ სატარიფო პალატის მუშათა სექციის სახელით მოხსენებას აკეთებს შ. აბდუშელიშვილი. ის აღნიშნავს იმ ობიექტიურ პირობებს, რომელშიაც უხდება მუშაობა ჩვენ მთავრობას და კერძოთ მომარაგების სამინისტროს. გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ბონების მომატება მუშებს არა შველის, რადგანაც მეორე დღესვე პირველ მოთხოვნილების საგნებზე ერთი სამად ემატება ფასები. ეს კი მუშებს აყენებს უკიდურეს მდგომარეობაში და იძულებულნი არიან ისევ ახალი ხელფასის მომატება მოითხოვონ. მეორე მხრით ბონების გაძლიერებით ეცემა ფულის ღირებულება და ამით სახელმწიფოც ფინანსიურ კრიზისს განიცდის.

ასეთ შემთხვევაში დაგვრჩენია ერთი გზა: რაციონის გადიდება და ამ გზას დაადგა სატარიფო პალატის მუშათა სექცია. 28 მარტიდან მუშები იღებენ ნახევარ გირვანქის მაგიერ ერთ გირვანქა პურს, მიიღებენ აგრეთვე მომატებით შაქარს, ბრინჯს და სხ.

მსჯელობის შემდეგ მიღებულ იქნა სატარიფო პალატის მუშათა სექციის დადგენილება და გადაწყდა კვირას, 3 აპრილს საბჭოს სხდომაზე ეს საკითხი უფრო ფართოდ იქნას განხილული.

თქრო.

მუშათა კლუბის ცხოვრებიდან

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ მუშათა კლუბი დაარსა. ეს იყო 1918 წ. მაისის 19-ს, როდესაც ტფილისის პროლეტარიატი, განურჩევლად მიმართულებისა და პოლიტიკური რწმენისა, დიდის აღფრთოვანებით შეეგება კლუბის გახსნის დღეს. ჩვენს მეხსიერებაში დღესაც ამოუშლელია ის შთაბეჭდილება, რაც ჩვენზე მოახდინა 19 მაისს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა სიტყვებმა. ყველა ორატორები—პროფესიონალური მოღვაწენი და მთავრობის წარმომადგენელნი, ერთხმად გვარწმუნებდენ, რომ კლუბის გარშემო მალე მოეწყობა ყოველგვარი დაწესებულებანი. ეს იყო მაშინ. ორი წლის წინეთ. მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი — „სიტყვა სხვაა,—საქმე სხვაო", ვერც ერთმა ორგანიზაციამ ან დაწესებულებამ ვერ გამოიჩინა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესასრულებლად, რომ სიტყვა საქმეთ ექციათ და თავიანთი წვლილი შეეტანათ კლუბის საარსებო ფონდში.

აქ ზედმეტად მიმაჩნია იმის მტკიცება, თუ რა ძნელ პირობებში უხდებოდა ყოველგვარ ორგანიზაციას არსებობა; მაგრამ ისეთ მდგომარეობაში, როგორშიაც არის კერძოთ მუშათა კლუბი, არა მგონია იყოს რომელიმე მეორე დაწესებულება.

ეს ერთად ერთი დაწესებულება, რომელიც მთელი თავისი ენერგიით ორი წლის განმავლობაში ემსახურება მუშათა კულტურულად აღზრდის საქმეს—არის მუშათა კლუბი. და ეს დაწესებულება, რომელიც დემოკრატიის კულტურულ ნიადაგზე შეიქმნა, უმწვავეს მდგომარეობას განიცდის. კლუბის ცხოვრებაში არ ყოფილა ისეთი დღე, რომ მის ხელმძღვანელებს თავს არ დასტრიალებდეთ საშინელი მატერიალური გაჭირვებისა. ჯერ კიდევ ორი თვის თავზე დღიდან კლუბის გახსნისა მის ხელმძღვანელებს წინ ედგათ კლუბის ყოფნა არ ყოფნის საკითხი; მაგრამ მათმა ენერგიულმა მუშაობამ მაინც სძლია ყოველგვარი დაბრკოლება და, ავათ იყო თუ კარგათ, დღემდის შეინარჩუნა კლუბს სიცოცხლე. დღეს, როდესაც ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია, ჩვენს წინ იბადება კითხვები: არის საჭირო თუ არა, რომ კლუბი არსებობდეს? ვინ უნდა იყოს კლუბის ბატონ პატრონი, რომ მისმა ხელმძღვანელებმა იცოდენ, თუ ვის მიმართონ გაჭირვების დროს? ვინ უნდა იკისროს კლუბის საარსებო თანხის გაღება?

სანამ ამ კითხვებზე პასუხს გავცემდეთ, საჭიროა მოვიგონოთ ცოტა რამ კლუბის წარსული ცხოვრებიდან, რომ ამით პასუხი გავცეთ იმ ზოგიერთ უპასუხისმგებლო პირების (სამწუხაროთ ზოგიერთი პასუხისმგებელი ამხანაგებიც არიან მათ რიცხვში) ქუჩურ კრიტიკას, რომელშიაც ვერ გამოსულან საზოგადოებრივ მოედანზე და ჩურჩულით ქორებს ავრცელებენ—თითქოს კლუბის ცხოვრებაში არავითარ არა სასურველ მოვლენებს ქონდეს ადგილი და არავითარ კულტურულ მუშაობას მასში (კლუბში) მისი ხელმძღვანელნი არ ეწეოდნენ.

მე შორს ვარ იმ მოსაზრებიდან, თითქოს ჩვენი კლუბის მუშაობა სასურველ სიმაღლეზე იდგეს. ბევრი დეფექტები ჰქონდა და აქვს ადგილი, მაგრამ ისეთი ნაკლი, რომელსაც შეეძლოს დაჩრდილოს მთელი მისი ორი წლის მუშაობის კულტურულ სფეროში, არ ყოფილა და ვერც ერთი მოწინააღმდეგე ვერ დაამტკიცებს. უმთავრესი ნაკლოვანება გამოიხატებოდა არა კულტურულ მუშაობის აზრით ადგენში, არამედ—სალონის ფუნქციებში, ამით აიხსნება ის, რომ ხშირათ კლუბში იმართებოდა შემოსავლიანი საღამოები, როგორც კლუბის, ისე სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა სასარგებლოთ და, როგორც ყოველ გვარ შემოსავლიან საღამოს თან სდევს მისი უარყოფითი მხარეები—ვერც ჩვენ ავცდით ამ გზას. (მაგალითად: ლატარეა, აუქციონი, ზედმეტი ღვინო და სხვა).

მე როგორც წევრს კლუბის გამგეობისა, რომელიც ვმუშაობ დღიდან კლუბის დაარსებისა, თამამად შემიძლია ვ'თქვა, რომ იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ გვიხდებოდა მუშაობა, მეტის გაკეთება ყოვლად შეუძლებელი იყო, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ ციფრებიდანაც ჩანს:

კლუბის წლები, რა დღიდან გაიხსნა		რამდენი [illegible]	რამდენი [illegible]	რამდენი წარმოდგენები დადგმულ ხელოვნების განყოფილებაში.			მუსიკალურ-[illegible]	სახალხო კონცერტ-[illegible]	ლიტერატურ. დილა და საღამოები	საჯარო ლექც. და მიტინგ.	(ფასიანი) სინემატოგრაფიული წარმოდგენები.
წელი.	თვე და რიცხვი.			ქართული.	რუსული.	სომხური.					
1918	19/V	5	22	31	28	18	12	6	11	24	12
1919	25/V	11	48	33	38	11	19	21	8	23	35
სულ ჯამი		16	70	64	66	29	31	27	19	47	47

პიესები, როგორც ქართული, რუსული და აგრეთვე სომხური, ამოღებული იყო უმთავრესად თანამედროვე ცხოვრებიდან, ხელმძღვანელობდა რეპერტუარით, მაგრამ შეიძლება დავსვათ გადაჭარბებით ახალ პიესებსაც. საყურადღებოა ის, რომ პირველ ხანებში ყველა სცენის მოყვარეთა წრეები დიდის ენერგიით და ხალისით ეკიდებოდენ საქმეს, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ კლუბს მათთვის არავითარი დახმარების აღმოჩენა არ შეუძლია, მათში თავი იჩინა პესიმისტურმა მიმართულებამ. ყველაზე უწინ მუშაობა შეწყვიტა სომხურმა წრემ, მას მიყვა ქართული და მოსალოდნელია გაყვეს რუსულიც.

აი მოკლე სურათი იმისა, თუ რაგვარი კულტურული მუშაობა ყოფილა კლუბში დღიდან მისი დაარსებისა. კულტურული მუშაობის გარდა ჩვენ მივაქციეთ ყურადღება იაფ-ფასიან სასადილოს, რომელიც არსებობდა 18 თვის განმავლობაში, სადაც ვამზადებდით საღ და იაფ-ფასიან სადილებს. ეს სასადილოც დაიხურა ფასხარისხის გამო. ამ წლის 10 მარტიდან კვლავ გაიხსნა იაფ ფასიანი სასადილო, სადაც შედარებით ქალაქის და სხვა ორგანიზაციების სასადილოებთან უფრო საღ და იაფფასიან სადილებს ვაძლევთ. იმ კითხვებზე, რომლებიც ჩემ მიერ ზემოთ არის წამოყენებული უნდა გავცე შემდეგი პასუხი:

1) საჭიროა ამ კლუბის ცენტრალურ კლუბათ გადაქცევა. ასეთი ცენტრალური კლუბის არსებობა საშუალებას მისცემს ყველა დანარჩენ კლუბებს სათანადო კულტურული ძალებით ისარგებლონ, ვინაიდან ყველა კლუბებთან ცალკე წრეების, მუსიკის და სინემატოგრაფიული მ.წ.ნ.ს არსებობა გამოიწვევს დიდ ხარჯებს, რაც (თუნდაც ძალიან კარგ პირობებში იყოს ესა თუ ის კლუბი) ზედმეტ ტვირთად დააწვება დემოკრატიას. 2) კლუბის ბატონ პატრონი და საერთო ლხინის მიმცემი უნდა იყოს პროფ. კავ. ცენ. საბჭო. კლუბის გამგეობა კი შეიძლება იყოს პარიტეტული. 3) პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ უნდა ეცადოს: რათა ეს ყველა პროფესიონალურ კავშირებმა თავიანთ წლიურ ხარჯთ აღრიცხვაში შეიტანონ მუხლი კლუბის ფონდში განსაზღვრული თანხის გადადების შესახებ. ასეთი მუხლი დღესაც არსებობს მათ ხარჯთ-აღრიცხვაში, მაგრამ სულ სხვა სახით: მას უწოდებენ „მუშაობას კულტურულ-განმანათლებელ მიზნისთვის", მაგრამ არც ერთი პროფესიონალური კავშირი ასეთ მუშაობას არ ეწევა. ბ) მოვთხოვოთ ქალაქის თვითმმართველობას, საქართველოს ცენტრალური კოოპ. კავშირის გამგეობას*) და, რაც უფრო საყურადღებოა, განათლების სამინისტროს (როგორც მთავრობის ორგანოს), რათა მათ დახმარება აღმოუჩინონ კლუბს, განსაკუთრებით უკანასკნელმა, რომელიც ვალდებულია დახმარება გაუწიოს ასეთ დაწესებულებას; ეს მისი (სამინისტროს) პირდაპირი მოვალეობაა. თუ ვინმეს ჰქონდეს მთავრობის სტიპენდია,—ეს ყველაზე უწინ მუშებს უნდა ეკუთვნოდეს 4) გამგეობა თვითეული პროფესიონალური კავშირისა ვალდებულია: ა) გასწიოს ფართო აგიტაცია თავიანთ წევრთა შორის, რათა უკანასკნელნი ეწეროდნენ კლუბის წევრებათ; ბ) გამოიძახოს და დაავალოს ის პირნი, რომლებიც სცენის მოყვარეობას ეწევიან, თუ ეწევიან, რათა ამით გაღვივდეს და ამაღლდეს მასსის თვით-შეგნება და თვით-მოქმედება.

სასურველია, ყველა მათ, რომელნიც ჩემ მიერ წამოყენებულ პრინციპებს უარყოფით უყურებენ, ან ნაკლს ხედავენ შიგ,—გამოსთქვან თავისი აზრი პრესის საშუალებით.

გ. მაჭავე.

ბათომი

28 მარტს ბათომში ჩამოვიდა ბათომის ოლქის საზღვრებში მყოფ საქართველოს ჯარების სარდალი გენ. ზ. მდივანი და შტაბის უფროსი გენ. გ. ერისთავი. სარდალს ახლავს აგრეთვე პოლკ. მელიქიშვილი და კაპ. ირ. დიდიძე.

— საქართველოს სამხედრო მისია გენ. ოდიშელიძის მეთაურობით პარიზში გაემგზავრა 30 მარტს.

— მიწის ძვრისაგან დაზარალებულ გორელების სასარგებლოთ ბათუმის მუშათა პროფესიონალურ კავშირებმა თავიანთ წევრ შინა შეაგროვეს რამდენიმე ასი ათასი მანეთი. აღნიშნულ შეწირულების დანიშნულებისამებრ გადასაცემათ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ არჩეულ იქნენ: ა. წულაძე, მარკმანი და ალიხანოვი, რომლებიც ამ დღეებში გაემგზავრებიან გორში.

— ლირის ფულის კურსი დღითი დღე ეცემა. ამ ჟამად 1000 მანეთი ქართული ფული ლირის ფულზე 6000 მანეთათ ფასობს.

ერობათა ცხოვრება.

ზუგდიდის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა **).

გამგეობის მოხსენებები გათავებული და კამათში მონაწილეობას ღებულობენ: მისა კაკულია, ივ. გომელია, გიორგი (კუჭი) ჩიქოვანი და სხვ.

მისა კაკულია (ს. ფედ.) აღნიშნავს, რომ გამგეობის თავის მუშაობაში ეტყობა უსისტემობა. [illegible]

ივ. გომელია (სოც.-რევ.) ამბობს, საერთოდ იყო დამაკმაყოფილებელი პირობები ერობის მუშაობისთვის. [illegible]

გ. ჩიქოვანი (ს.-ფ.) ამბობს, რომ გამგეობის მუშაობას ყველაზე მეტად ხელს უშლიდა ის პარტიული კინკლაობა, რომელსაც არა ერთხელ ქონდა ადგილი. [illegible]

შემდეგ ლაპარაკობენ ან. ოდიშარია, ნ. ალანია და სხ. [illegible] თ. შენგელაია. [illegible]

კამათის გათავების შემდეგ [illegible]

2 სოც.-დემ. ფრაქციის რეზოლუცია: [illegible]

ხმის უმრავლესობით (15—მომხრე, 7—წინააღმდ., 5—თავი შეიკავა) [illegible]

ყრილობა გადადის მეორე საკითხზე.

[illegible]

ლ. შ. შენგელაია. [illegible]

[illegible]

ერობის მიერ ... [illegible]

ეს ორი სასახლე [illegible]

[illegible] მის. [illegible]

რაც შეეხება სასწავლებლებს, ამ სასწავლებლების შენახვა ერობისათვის [illegible] ზუგდიდის მაზრას აქვს დიდი კულტურული მოთხოვნილება [illegible]

მაგრამ ეს სასწავლებელი მაზრას არ ყოფნის. [illegible]

ასეთია საჭიროება მაზრის და ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობა [illegible]

ეხლა ამას შეუერთეთ [illegible]

მოკლე შეკითხვებისა და მოხსენებების პასუხის შემდეგ იხსნება კამათი ამ საკითხის გარშემო. სიტყვას იღებენ: მ. კაკულია (ს. დ), ივ. გომელია (ს. რ), [illegible]

მომხსენებელი [illegible]

შემდეგ საკითხი [illegible]

ივ. გომელია—ესერების ფრაქციის სახელით [illegible]

მ. კაკულია (ს. დ.) მოითხოვს, რომ [illegible]

ალ. ჩიქვანი—აღნიშნავს [illegible]

მომხსენებელი [illegible] შენგელაია, [illegible]

---

*) ეს უკანასკნელი მიდამოს ღირსია, ვინაიდან იგი ერთად-ერთი დაწესებულებაა, რომელმაც დიდი იდეური და მატერიალური დახმარება გაგვიწია და გვიწევს დღესაც გ. მ.

**) იხ. „ერთ." №№ 74, 75.

ზისთვის არ მიაქციეს საჭიროდ. რაც შეეხება კომპეტენტურ კავშირის, ის შესრულებულ საქმეს მოგებით ყულის და გარდა ამისა მათთაც ესპერიმენტით გზას შეუკრავენ ამ საფუძველზე გადასახადის სახით თანხის გადება. სხვა საშუალება არ არის.

კამათის დროს ხმოსანი იგ. გომეჩია მეორედ მოითხოვს სიტყვას თავის წინადადების დასაცავად, მაგრამ ყრილობის თავმჯდომარე დიომიდე თოფურიძე რეგლამენტის ძალით მას არ აძლევს სიტყვას. გომეჩია აცხადებს პროტესტს და დემონსტრატიულად სტოვებს კრებას. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ბრუნდება. წინადადებებს დარიგდა კენჭი ეყარა. მიღებულია გამგეობის წინადადება 22 ხმით, წინააღმდეგ 9 ხმა. სხვა წინადადებები თვით ავტორებმა მოხსნეს. ყრილობა გადადის გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების აღმოჩენის საკითხზე.

მომხსენებელი გამგეობის თავმჯდომარე ლ. შენგელაია აღნიშნავს იმ ზომებს, რომელიც მიიღო სამაზრო ერობამ და ამბობს: უწინარეს ყოვლისა დაარსებულია ერობასთან სამაზრო კომიტეტი გორის დაზარალებულთა დასახმარებლად—გორის ფონდის კომიტეტი, რომელშიაც შედიან ყველა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. კომიტეტს სურს მიმართოს მოწოდებით მთელ მაზრას და დაავალოს თემებს მოაწყონ მაზრაში შემოწირულებათა მოკრეფა ორი დღის განმავლობაში—ეგრ. წოდ. გორის დღეები. შემოწირულება შეიკრიბება ფულით, სანოვაგით, ტანისამოსით და სხვა. მოსამსახურეებს ეთხოვოს გადასდონ ამისთვის ორი დღის ჯამაგირი. გამგეობამ დაადგინა გაიღოს ხარჯები, რომელიც დასჭირდება ამ საქმის მოწყობას. გარდა ამისა გამგეობა შემოგთავაზებთ თქვენ წინაშე მისცეს მას ნება გადასცეს ერობის სალაროდან 100,000 მან. დაზარალებულთა დასახმარებლად. ყრილობა იწონებს გამგეობის მიერ მიღებულ ზომებს, ღებულობს მის წინადადებას და გადადის მეორე საკითხზე.

ამის შემდეგ ყრილობა არჩევს შემოსულ თხოვნებს, ისმენს სარევიზიო კომისიის მოხსენებას და საფინანსო კომისიის და გამგეობის განმარტებით ამტკიცებს შესწორებებით მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვას. სოც. რევოლიუციონერთა ფრაქცია თავს იკავებს ერთიანი გადასახადის შემოღების საკითხის გარჩევის დროს.

ყრილობა გადადის ახალ გამგეობის არჩევნებზე.

სიტყვას იღებს გიორგი ნიქოლაძე (ს.-დ.) ჩვენ, სოც.-დემოკრ. ფრაქცია დღემდე ვფიქრობდით გამგეობის შედგენაში გამოგვეყენებინა კოალიციური პრინციპი და ვცდილობდით თანამშრომლობას იმ ფრაქციასთან, რომელიც აქ წარმოდგენილია 9 ხმოსნით, ე. ი. სოც.-რევოლიუციონერებთან. მაგრამ როდესაც ამ ფრაქციამ თავის მოქმედებით და აქ გამოსვლით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ის არაპოლიტიკურ პოლიტიკას აწარმოებს, ჩვენ დავრწმუნდით, რომ მათთან თანამშრომლობა შეუძლებელია. ეს აშკარა გახდა დღეს, ამ კრებაზე. გამგეობას არ ქონდა მიზეზი და როდესაც მან ასეთი წარმოუდგინა ყრილობას, ეს ფრაქცია უსიტყვოდ ლაპარაკობს გასავალს, ხარჯებს, და შემოსავლის წყაროზე უარს ეუბნება თავის შეკავებით. და აკავებს თავს იმ საკითხის დროს, რომელიც მიწის საკითხს შეეხება, რომელიც დამფუძნებელ კრებაში მიღებულია. ეს არის ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ასეთი პოლიტიკის ხალხთან მუშაობა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. ჩვენი ფრაქცია აყენებს სრულიად ერთფეროვან სიას გამგეობის წევრობისას.

იგ. გომეჩია ამბობს, რომ ჩვენ, ს.-რ. მუდამ წინააღმდეგი ვიყავით მიწის გასხვისების და სათანადო კანონიც შევიტანეთ დამფუძნებელ კრებაში. ტყუილია ბრალდება იმის, რომ დღემდე თქვენ ს.-დ.-ები, კოალიციის მომხრე იყავით. დღეს [illegible] ერთ მუხლზე შეგვედავეთ; თქვენ ის არ მოგეწონათ და როდესაც თქვენი კანდიდატები წარმოადგინეთ, ჩვენ [illegible] თავი შევიკავეთ. მაგრამ ეს არის თქვენი უბრალო მიზეზები. აქ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა არ არის, აქ ჩვენ [illegible] ხალხს. ჩვენ არ გთხოვთ ადგილებს გამგეობაში, ჩვენ შეგვეძლო [illegible], რადგან უნდა გაიყვანოთ [illegible]. ჩვენ ანგარიშში გავწიეთ და 2 ადგილი მოგვეცით. თუ ამას თქვენ არ გაიხსენებთ, ეს თქვენს სინდისზე იყოს. ვიკითხოთ, როგორია ძალთა განაწილება მაზრაში. თქვენ მიიღეთ ხალხისგან საერთო ხმები და ამით განა შეგიძლიათ იგნორირება პარტიისა? თუმცა [illegible]. განა თქვენ 5 [illegible] მაზრას? თუ ასეა ჩვენ [illegible] ჩამოცილდეთ გამგეობის ზღუდეებს.

ხმ. გ. ნიქოლაძე მოკლედ უპასუხებს ხმ. გომეჩიას და ს.-დ. ფრაქციის სახელით აქვეყნებს გამგეობის წევრთა კანდიდატების სიას.

ფარული კენჭის ყრით არჩეულ არიან შემდეგი პირნი: გამგეობის თავმჯდომარე—ლეონ მიხეილის ძე შენგელაია, თავმჯდომარის ამხანაგი ვლადიმერ ვეკუა, წევრები: ალექსანდრე ნიჟარაძე, გრიგოლ ლეჟავა და ანტონ (მამია) ანჯაფარიძე.

ყრილობა გათავდა 2 მარტს, ღამის 12 ს.

გ. მარგველიძე.

სახალხო გვარდიაში

მესხეთ-ჯავახეთის სახალხო გვარდიის მეორე [illegible] საოლქო ყრილობა შესდგა 29 მარტს. ამხანაგი სალუქვაძე მთავარი შტაბის სახელით მიესალმა ყრილობას. თავმჯდომარედ არჩეული იქნა ნ. ორაგველიძე, მდივნად გიორგი ჯგარკავა.

დღის წესრიგში იყო: მოხსენება მთავარი შტაბიდან, მოხსენება საოლქო შტაბიდან, გვარდიის ადგილობრივი ორგანიზაცია, საოლქო შტაბის არჩევნები, მიმდინარე საკითხები.

ახალციხის თვითმართველობის და ს. ს. დ. მ. პ. ახალციხის ორგანიზაციის სახელით ყრილობას მიესალმა ბ. [illegible], ახალციხის მაზრის ერობის სახელით ბ. ხმალაძე, გორის მაზრის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბის სახელით ბ. ილურიძე.

ყრილობის სახელით, თავმჯდომარე ორაგველიძე, ზემოთაღნიშნულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებს მადლობას უცხადებს და აღუთქვამს, რომ მათი სურვილი და იმედები გამართლებული იქნება მესხეთ-ჯავახეთის გვარდიის მიერ.

ყრილობამ გამოსთქვა სურვილი გაეგზავნოს ყრილობის სახელით მისალმების დეპეშები:

დამფუძნებელ კრებას, მთავრობის თავმჯდომარეს და გვარდიის მთავარ შტაბს. განხილულ და დადასტურებულ იქნა რწმუნებულების მანდატები. მთავარი შტაბიდან მოხსენება გააკეთა ამხ. სალუქვაძემ. მან მოკლედ განმარტა მიზანი გვარდიისა. შეეხო იმ გარემოებას, რამაც აიძულა საქართველოს დემოკრატია შეექმნა გვარდია; რუსეთის ჯარის დემორალიზაცია, მისი ფრონტებიდან გამოქცევა. მან განმარტა ის დაწყოლი, რომელიც მიუძღვის გვარდიას იმ დიდ ისტორიულ მოძრაობაში, რომელიც განიცადა საქართველოს დემოკრატიამ. დაახასიათა დენიკინი და მასთან სხვა ავანტიურისტები, რომელნიც შიგნით და გარეთ იბრძოდნენ საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ, და გვარდიის მათთან ბრძოლა. გვარდიის მთავარ მიზნად მან დასახა: ქვეყნის უზრუნველყოფა ყოველგვარ მტრისაგან და ნაყოფის მოხმარება შემდეგი მუშაობისათვის. ამ ქამად გვარდიაში უნდა იყოს ორნაირი მუშაობა: პირველი, გვარდიის გაწვრთნა გარეშე და შინაურ მტრებთან საბრძოლველად, მეორე მისი მომზადება პოლიტიკური მუშაობისათვის. თვითეულმა გვარდიელმა უნდა იცოდეს: ვინ არის ის, რისთვის იბრძვის, საით მიდის. ჩვენ გვინდა გვარდიელები არა მარტო როგორც ჯარისკაცები, არამედ როგორც პოლიტიკურად მომზადებული მებრძოლნი. ეს არის მიზანი მთავარი შტაბისა. მასთან ერთად სალუქვაძე ამბობს, რომ გვარდიელებმა არ უნდა დაივიწყონ მუშაობა,—გუთანი, რასაც მთავარი შტაბი დიდ ყურადღებას აქცევს. მან მოიყვანა მაგალითად ყვარელი, სადაც მუშაობენ გვარდიელები, და მით ამ საქმეში მთავარი შტაბი ხელს უწყობს. გვარდიის უახლოესი მიზანია: ყოველგვარ გარეშე და შინაური მტრებისაგან დაიცვას საქართველოს დემოკრატია და ყოველივე ბრძოლა, რომელიც იწარმოებს დენიკინის რეაქციის, ბოლშევიზმის და ოსმალეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დამოუკიდებელი საქართველოს საკეთილდღეოდ და შემდეგ შეუდგეს [illegible] საერთაშორისო მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად.

საოლქო შტაბის სახელით მოხსენება გააკეთა [illegible]. ის შეეხო იმ დროს, როდესაც დაარსდა მესხეთ-ჯავახეთის სახალხო გვარდია. განმარტა შტაბის მუშაობა გვარდიაში. გამოსთქვა იმედი, რომ ახლად არჩეული შტაბი განახორციელებს იმ მიზნებს, რაც დასახული ჰქონდა ძველ შტაბს. მან აწერა ის დაწყოლი და მუშაობა რაც მიუძღვის მესხეთ-ჯავახეთის გვარდიის დღიდან მისი დაარსებისა.

გვარდიის ადგილობრივი ორგანიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხმალაძემ. მან აღნიშნა, რომ გვარდიაში გვარდიელნი უნდა ეწერებოდნენ თავისი სურვილით, და ისინი უნდა იყვნენ პოლიტიკურად შეგნებულნი. აღნიშნა ისიც, რომ ამ მხრივ მესხეთ-ჯავახეთის გვარდია დამაკმაყოფილებელია. [illegible] განმარტება გვარდიის და [illegible] მესხეთ-ჯავახეთის გვარდიის. ამ. სალუქვაძემ აღნიშნა, რომ გვარდიის ორგანიზაციას აქვს თავისი კანონები. მან განმარტა გვარდიის ორგანიზაციული მუშაობა. და გამოსთქვა აზრი, რომ მესხეთ-ჯავახეთში მოიპოვება საკმაო რიცხვი გვარდიელებისა, რომელნიც შეგნებულად და თავისი სურვილით იმსახურებენ; გვარდიაში ძალით ჩაწერა შეუძლებელია და ასეთი პირი არც საიმედო და არც სასურველი იქნება. ყრილობამ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუციები. არჩეულ იქნენ შტაბის წევრებად: ხმალაძე ვანო, მგალობლიშვილი პეტრე, ჯგარკავა გიორგი, ინასარიძე ნიკო, მაისურაძე ტრიფონი, პაპინიძე მიშა. კანდიდატებად: მაისურაძე ნიკოლოზი, ბაღაშვილი იოსებ, ნასყიდაშვილი პეტრე.

მდივანი: გ. ჯგარკავა.

ს.-დ. პარტიაში

ქუთაისი. 29 თებერვალს შესდგა ქუთაისის კომიტეტის სხდომა ამ. ხარიტონიშვილის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგი: 1) მოხსენებები, 2) სალაროს ანგარიშები, 3) გორელების დახმარება, 4) კავშირთა საბჭოში ინციდენტის შესახებ, 5) ვ. თევზაძის განცხადება, 6) მუშათა კოოპერატივი.

მოხსენებას აკეთებს სამაზრო კომიტეტის წევრი მ. დობორჯგინიძე მაზრის კომიტეტის სხდომის შესახებ. კრებამ მოისმინა რა მოხსენება და დადგენილებები სამაზრო კომიტეტის, ის ცნო სწორად მიღებულად.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ფინანსიური კომისიის თავმჯდომარე ამხ. ვ. თევზაძე, რომელიც აღნიშნავს, თუ როგორი ჩატარდა სალარო და რა შემოსავალი დარჩა (დაახლოებით 72,000 მ.) გარდა ამისა—განაგრძობს მომხსენებელი—ფინანსიურ კომისიაში გვქონდა ბჭობა გორელების სასარგებლოთ დახმარების შესახებ, მაგრამ საბოლოოდ ეს კითხვა გადასაწყვეტად, თუ რამდენი გადაიდება, გადმოვიტანეთ აქ კომიტეტში.

3) დადგენილ იქნა გადაეცეს გორელების სასარგებლოთ პარტიულ კასიდან ათი ათასი მან. (10 000 მ.)

4) მოხსენებას აკეთებს პროფ. კავშირთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი მ. დობორჯგინიძე, რომელიც აღნიშნავს, თუ როგორ და რით დაიწყო ეს ინციდენტი კავშირთა საბჭოში და მოითხოვს კრებისაგან რაიმე საშუალების გამონახვას, რომ ასეთი ინციდენტები არ განმეორდეს. პროფ. კავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ, განაგრძობს მომხსენებელი, განცხადებაც კი შემოიტანა და თხოულობს თავმჯდომარეობისაგან განთავისუფლებას. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კრება ადგენს: მოწვეულ იქნას ს.-დ. საბჭოს ფრაქციის წევრები მოწინავე ამხანაგებთან ერთად და მოითხოვოს პასუხი იმ ამხანაგებს, რომლებმაც გამოიწვიეს ეს ინციდენტი.

5) ვ. თევზაძე აკეთებს მოხსენებას კოოპ. კავშირის ცხოვრებიდან. აღნიშნავს მის მხარეებს და დასასრულ აცხადებს, რომ მოკლე დროში მოიწვევენ რწმუნებულთა საერთო კრებას და გადასცემს მის მაგივრად სხვა პირი დაასახელონ კოოპერატივში სამუშაოდ. მოისმინა რა მოხსენება ვ. თევზაძისა, კომიტეტი ადგენს ეთხოვოს ვ. თევზაძეს, დარჩეს თავის თანამდებობაზე.

4 მარტს შესდგა ქუთაისის კომიტეტის, საბჭოს ს.-დ. ფრაქციის და მოწინავე ამხანაგების სხდომა (50-მდე) ს. სახარულიძის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგი: პროფ. კავშირთა საბჭოში მომხდარი ინციდენტის შესახებ.

მოხსენებას აკეთებს პროფ. კავშირთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი პროფ. კავშირთა საბჭოში მომხდარი ინციდენტის შესახებ და აღნიშნავს ზოგიერთი ამხანაგების მოქმედებას, თუ როგორ გამოდიან ზოგიერთ ჯგუფებთან ერთად და სხვ. ეს კითხვა დგას ჩვენ წინაშე. ამხანაგებო, ასე განაგრძობს მომხსენებელი, დღეს ან იმ ამხანაგებმა დასტოვონ ჩვენი პარტია, ან და ჩვენი ორგანიზაციის ე. ი. პარტიულ თვალთსაზრისს და დისციპლინას დაემორჩილონ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ადგინა ვ. გ.—ლი პროფ. კავშირთა საბჭოს სხდომაზედ მოქმედებაში (ინციდენტის დროს) [illegible] და თავმჯდომარის მოქმედება კი იმავე ინციდენტის დროს მიზანშეწონილია. ვ. გ.—ლის შესახებ დაადგინა: გამორიცხულ იქნას პროფ. კავშირთა საბჭოს სამი სხდომიდან. პარტიულ დისციპლინის დარღვევისათვის ეძლევა უკანასკნელი გაფრთხილება, რომ ჩვენთან ერთად იმუშაოს, როგორც მან, ისე სხვა ამხანაგებმაც.

ძველი დარაჯი.

მუშათა შორის

ხაშური. 27 მარტს შესდგა ქ. ხაშურის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის წევრთა საერთო კრება. კრებას დაესწრნენ თითქმის ყველა წევრები ინასარიძის თავმჯდომარეობით. კრებას, გარდა სხვა მრავალ საშინაო-ორგანიზაციო კითხვების განხილვისა, უნდა მოესმინა მოხსენება თფილისში 15—20 მარტს შემდგარ რესპუბლიკის მუნიციპალურ დარგში ყველა მუშა-მოსამსახურეთა კონფერენციიდან დაბრუნებული დელეგატისა. მოხსენებას აკეთებს კონფერენციიდან ახლად დაბრუნებული ამხ. ინასარიძე. მომხსენებელი გრძლად შეეხო ყველა იმ საკითხებს, რომლებიც გაარჩია კონფერენციამ და ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ყველა მოსამსახურეები ამ ზღაპრულ სიძვირის დროს. მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რაც დამთავრდა შემდეგი რეზოლიუციის გამოტანით: ხაშურის ქალაქის თვითმართველობის მუშა მოსამსახურეთა კავშირის წევრთა საერთო კრება, მიესალმება თფილისის მუნიციპალური მუშა მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს და რესპუბლიკის მუნიციპალურ დაწესებულებათა კავშირების კონფერენციის დელეგატთა შემადგენლობას. პირველს კონფერენციის მოწვევის ინიციატივის თავის თავზე მიღებისათვის, და მეორეს კონფერენციაზე სხვადასხვა საპროფესიო საკითხების სასურველად დაცვისათვის და მათზე სასურველი რეზოლიუციების გამოტანისათვის, რომლებშიაც გამოიხატება ყველა მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვა.

კავშირის გამგეობა.

პროვინცია

თელავი. 19 მარტი, ეს დღე თელავის მცხოვრებლებისათვის, განსაკუთრებით [illegible], დიდ ღირსშესანიშნავი და ისტორიულ დღედ ჩაითვლება. ცნობილი ამ დღეს მთელი მოქალაქენი დიდი, პატარა, მდიდარი და ღარიბი ყველა მოაწყდა ქუჩებს პოლიტიკური ორგანიზაციების მოწოდებით, 11 საათიდან მთელ ქალაქში დემონსტრატიულად იკეტება სავაჭროები, სწავლება, კერძო და საზოგადო დაწესებულებებში ყოველივე მოქმედება, მთელი ეს ზღვა ხალხი უკმაყოფილო [illegible] თავს იყრის ერთ ადგილას, სადაც 12 საათზე იხსნება დიდი მიტინგი. დამფ. კრების წევრის ს. მაჭავარიანის მეთაურობით, რომელიც მოკლე სიტყვით მიმართავს ქუჩაში გამოსულ მოქალაქეთ. ლაპარაკობენ ყველა პოლიტ. პარტ. ორატორები, სადაც აღნიშნავენ ბათუმზე და მის ოლქზე მოვლენილ ძალადობას, რაც არ შეესაბამება სამართლიან პრინციპებს, ორატორებმა გაარკვიეს ჩვენი მტერ-მოყვარენი და აღნიშნეს მათი ძალადობანებით მოქმედება ბათუმზე. აშკარად ახსნეს ხალხს მათი აგენტების პროვოკაციული მუშაობა ბათუმსა და მის ოლქში.

ჩვენ მტრებს სურთ მოგლიჯონ თავის მშობელ საქართველოს მისი ნაწილი ბათუმი თავის ოლქით, რომლის მცხოვრებნი ხელგამოწვდილნი მოიწევენ შესაერთებლად განუყრელად დედა საქართველოსთან. ქუჩაში გამოსულმა გულნატკენმა და ერთი აზრით გამსჭვალულმა ხალხმა გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია ბათუმის და მისი ოლქის ძალადობანებით წართმევის შესახებ, რეზოლიუცია გადაეცა დამფუძნებელ კრებას, მთავრობას და ევროპის ოთხ სახელმწიფოს მისიებს. მიტინგი გაემართა ყაზარმებისაკენ. გზა და გზა ორატორები შესაფერ სიტყვებს ამბობდნენ. ხალხი მრავლად ემატებოდა, გაიარეს მ [illegible] ჯარის ყაზარმების ახლოს. აქ ჯარმა მოინდომა თავის წარმომადგენლის პირით ეთქვა ხალხისთვის, რომ ისიც მზად არის შეუერთდეს მას და თუ მოითხოვს სამშობლოს ინტერესები, სისხლიც დაღვაროს. მიტინგები გაიმართა ლაბ [illegible] სოფლებშიაც, წინანდალსა და სხვაგან, სადაც გამოტანილ იქნა შესაფერისი რეზოლიუციები.

ალ. ჩიტაშვილი.

— —

ზემო გომი (ქართლი). 19 მარტს დილით ადრე იწყო მოსვლა სოფლებიდან და მოიყარა თავი ერობის კანცელარიის წინ, აქედან გაემართა მანიფესტაციით და შემოიარა მთელი ბაზარი დიდის ამბით; მანიფესტაცია დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ხალხზე, რომელსაც წინ მიუძღოდა ადგილობრივი გვარდია და მას უკან მიყვებოდნენ [illegible] სოფლელები საბრეებით ხელში. მთელი ხალხი შეგროვდა რკინის გზის სადგურის მოედანზე და გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგი გახსნა ამხ. პ. ლომიძემ. პირველად ილაპარაკა ამხ. ვ. [illegible], რომელიც უმთავრესად შეეხო ბათუმის საკითხს. ამავე საკითხის შესახებ ილაპარაკეს მაისურაძემ, მღვდლიშვილმა, გომარელმა და ლომიძემ. დასასრულ მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც გაეგზავნა დამფუძნებელ კრებას, მთავრობას და მოკავშირე სახელმწიფოთა მისიებს, რომ ბათუმი საქართველოს უდავო ნაწილია და მისი საქართველოდან ჩამოშორება თვით საქართველოს უარყოფას ნიშნავს. უმაღლესი საბჭოს დადგენილებას ბათუმის საკითხის უკანონოთ გადაწყვეტისათვის პროტესტს უცხადებთ და ს. იმედს გამოსთქვამენ, რომ მთავრობა ამ საკითხს ახლო მომავალში მოაგვარებს ისე, როგორც საქართველოსთვის საჭიროა და ჩვენც მთავრობას მხარს ვუჭერთ.

ხარდალი.

წერ. რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დაბეჭდოთ შემდეგი: „ერთობის" 73 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ხაშურიდან, სადაც ნათქვამი იყო: რომ ხაშურის კომიტეტმა 24 მარტის სხდომაზე [illegible] მომხდარ გაფიცვას გამო, ხმის დიდი უმრავლესობით სასტიკათ დაგმო ასეთი სამარცხვინო გაფიცვა და ენერგიული პროტესტი გამოუცხადა ამ გაფიცვის მომწყობთ და სხვ. უნდა იყოს: ერთხმად დაგმო მომხდარი გაფიცვა და სხვ. კრებას დაესწრო კომიტეტის თერთმეტი წევრი და ყველამ მისცა ხმა ზემოდ ნახსენებ რეზოლიუციას.

[illegible]

—

(და წერილი [illegible] ნემსაძეს).

მე თქვენ 31 მარტს სტუდენტთა სასადილოში ს ჯარით ცილი დამწამეთ, რისთვისაც გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში და გთხოვთ ერთი კვირის განმავლობაში დაასახელოთ თქვენი მედიატორები, ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ აკაკი სიგუას და მიხა კვეტაშვილს.

სტუდ. [illegible].

ცნობები

გვარდიელი ტარიელ ფეთიმეს ძე ჩხეიძე აცხადებს, რომ თუ ვინმემ იცის მისი ძმის პორფილე ფეთიმეს ძე ჩხეიძის ამბავი, აცნობოს ხონში, გვარდიის შტაბში. ახალციხის ფრონტზე მსახურებდა ბატარეაში 24 წლისაა.

ტარიელ ჩხეიძე.

განცხადებანი

ექიმი ა. ლევენშტეინი

შინაგ. და ნერვიული სნეულებანი. გასინჯვა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად გულის, ელექტრობით, კუჭ-ნაწლავების, [illegible] და ნერვიული სისტემის. რენტგენით და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. [illegible] ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი

კ. ზ. მარტიროსოვი

სპეციალურად კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606" და 914 შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. [illegible] ქ. № 9 [illegible] ქუჩის კუთხე, [illegible]. (ო. 546)

ექიმი

დოქ. კონსტ. [illegible]

(ოკულისტი)

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. [illegible] ქუჩა № 52. (ო. 551)

ექიმი

ნ. დ. [illegible]

იღებს შინაგან, [illegible] დილის 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლაევის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ხიდის ახლოს. ტელ. 14—18. 119—ო.)

[illegible]

[illegible]

[illegible]

(ო. 686

ექიმი [illegible]

[illegible] („606" და „914") [illegible] 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] 26 [illegible]

ექიმი ა. დ. კაკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვ"-ს მოპირდაპირე. ტელ. 14—26. (154—ო.)

კერძო სამკურნალო

ექ. ე. მ. მძინარიშვილისა

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და [illegible] ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87

მიიღებს ყოველგვარ სნეულებიან ავადმყოფებისა დილის 8—3 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით და კანის სნეულებით დაავადმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. უსახსროთათვის უფასოთ დილის 8—11 საათ.

ექიმები

ი. ქ. აბაკელია—შინაგან ავადმყ.

დ. გ. [illegible]—შინაგანი და ბავშვების ავადმყ.

ა. გ. [illegible]—შინაგ. ავადმყ. და მიკრო-ბიოლ. ანალიზი.

ა. გ. მაჭავარიანი—ქირურგ. ავადმყ.

ე. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.

ნ. ს. [illegible]—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.

ზ. მ. ცხვედაძე—თვალის ავადმყ.

ვ. დ. [illegible]—ქალის ავადმყ. და სამშობიარო.

სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანის ქვეშ შეშხაპუნება, ყვავილის აცრა, „606" და „914" შეშხაპუნება და აგრეთვე მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის, შარდის, განავალის და სხვ. (ო. 009)

ექიმი ქალი

მ. მ. ალფეევი

წყნეთის ქუჩა № 38. იღებს ყოველდღე 1—2 საღამოს 6—7. სპეციალურად სამშობიარო ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი [illegible],

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 27 [illegible].

მომხმარებელ საზოგადოების „ორთაჭალა"

გამგეობა ამით აცხადებს, რომ ორშაბათს 7 აპრილს ა. წ. დილის 11 საათზე აქციონერულ საზოგადოების თაოსნობით, [illegible] და [illegible] სახის ქარხნის ბინაზე—ვარანცოვის ქ. № 119, დანიშნულია ჩვეულებრივი წლიური წევრთა

საზოგადო კრება

განსახილველად შემდეგი საკითხებისა: 1) განხილვა და დამტკიცება 1919 წლის ანგარიშისა. და აგრეთვე დამტკიცება 1920 წ. ხარჯთაღრიცხვისა. 2) მოხსენება გამგეობის თავის მოქმედების შესახებ. 3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 4) არჩევნები გამგეობის 2 წევრისა, ნაცვლად 2 გამომსვლელ კენჭის ყრით წევრებისა. 5) მიმდინარე საქმეები.

თუ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგება კრება, მეორე კრება დანიშნულია იმავე დღეს 12 საათზე და ჩაითვლება კანონიერათ, მიუხედავად დამსწრე წევრების რიცხვისა. გამგეობა.

(1163—1—1)

ამხ. „პროვოდნიკი"

სოლოლაკის ქ. № 4. მიღებულია პირველი დიდი ტრანსპორტი საუკეთესო კაცის, ქალის და ბავშვის ფეხსაცმელებისა, შვეიცარული მარკის ე. ფ. „ბალლი" და შვეიცარული პირველ ხარისხოვანი ფირმების სხვადასხვა მანუფაქტურული საქონლის დიდი პარტია.

(1165—1—1)